# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 25 მაისი, 2011 წელი.

№96 (6707)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


**ერთი ძველი იგავისა არ იყოს:**

**თქვენ კი, სყლეერთია, სად როგორ დასხდებით, მუსიკოსები მაინც ვერ გახდებით...**



## არის კი სააკაშვილის მოძულეობა საკმარისი პირობა უკეთესი ქვეყნის ასაშენებლად?

3

## რადიკალური ოპოზიცია ხელს პოლიტიკურად სასიკვდილო განაჩენს აწერს

3

## ვის ეკისრება მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობა?..

4

## დაკრეფს კი მაისის ვარდებს რევოლუციებში გამობრძმედილი ლედი?!

2

## საიდუმლო სერობა

„ქართული პარტიის" ლიდერების სოზარ სუბარისა და ეროსი კიწმარიშვილის განცხადებით, მათ 25 მაისს, 12:00 სთ-ზე ავლაბარში, პრეზიდენტის რეზიდენციის სიახლოვეს დაგეგმილი აქცია გააუქმეს და საქართველოში აღარც ირაკლი ოქრუაშვილი ჩამოვა.

ამის შესახებ მათ გუშინ სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს.

ორი დღის განმავლობაში ნინო ბურჯანაძესთან პოზიციების შეჯერების არაერთი მცდელობა იყო, მაგრამ ეს უშედეგოდ დასრულდა. 23 მაისს ბურჯანაძემ გამოაცხადა, რომ 25 მაისს „სახალხო კრება" აქციას სხვა ადგილას — თავისუფლების მოედანზე გამართავდა. ამასთან, ბურჯანაძემ მკაფიოდ განაცხადა, რომ ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებით გარკვეული ეჭვები აქვს. მიგვაჩნია, რომ ერთმანეთის პარალელურად ორი აქციის გამართვა საზოგადოებაში დაბნეულობას შეიტანს, ამიტომ გუშინ ღამით მივიღეთ ჩვენთვის ძალიან მძიმე გადაწყვეტილება. ჩვენ ვაუქმებთ ავლაბრის მოედანზე დაგეგმილ აქციას, რათა „სახალხო კრებას" მისი გეგმების განხორციელებაში ხელი არ შევუშალოთ", — განაცხადა სოზარ სუბარმა.

რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, სუბარის თქმით, „მისი დარწმუნება იმაში, რომ სამშობლოში ჩამოსვლაზე უარი ეთქვა, ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ეს პარტიის წევრთა კატეგორიული მოთხოვნა იყო და იძულებული გახდა, ჩვენს პოზიციას დამორჩილებოდა".

ამასთან, ქართული პარტიის" ლიდერების თქმით, პარტიის ნებისმიერ წევრს „სრული თავისუფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება „სახალხო კრების" 25 მაისის აქციაში მონაწილეობის თაობაზე.

## ირაკლი ოქრუაშვილი: მე ამ საქმეს ბოლომდე მაინც მივიყვან და თუ ამას ვერ გავაკეთებ, სამუდამოდ წავალ პოლიტიკიდან!

ირაკლი ოქრუაშვილმა გუშინ მიმართვა გაავრცელა, რომლის ტექსტსაც უცვლელად გთავაზობთ: „ძალიან მიმძიმს ახლა საუბარი, დანა რომ დამარტყათ, სისხლი არ გამომივა. უკვე მეორედ ხდება ერთი და იგივე, როდესაც ხელი შემიშალეს საქართველოში დაბრუნებაში. ეს ერთხელ 2009 წლის მაისში მოხდა, როდესაც საქართველოს საზღვართან ვიმყოფებოდი და ეგრეთ წოდებულმა გაერთიანებულმა ოპოზიციამ უარყოფითად შეაფასა ჩემი საქართველოში დაბრუნება.

ხელისუფლების რიტორიკა, რითაც ხალხს აშინებდნენ, თითქოსდა ცხინვალის გავლით, რუსული ტანკებით უნდა დავბრუნებულიყავი და პუტჩი მომეწყო, მყისვე აიტაცა ზოგიერთმა ოპოზიციონერმა ლიდერმა, რის გამოც ოპოზიციის გაერთიანება ჩაიშალა და იმედი მაქვს, ხალხი შესაბამის დასკვნებს გააკეთებს.

მათი სურვილია, ეს საქმე ჩემი ხელით გაკეთდეს და ხელი მე შემაწმინდონ, თანაც თვითონ სუფთა გამოვიდნენ ამ საქმიდან.

ამის შემდეგ, მე უშუალოდ მივიღებ გადაწყვეტილებებს, სხვების აზრის გათვალისწინების გარეშე.

იმას, რაც დღეს ხდება, ერთი სიტყვით ღალატი ჰქვია, ხალხის ღალატი. მათ სინდისზე იყოს იმ ადამიანების ბედი, რომლებსაც მათი საქციელის გამო ხელისუფლება გააუბედურებს. მათთვის პოლიტიკა არის ბიზნესი და მეტი არაფერი.

მე ამ საქმეს ბოლომდე მაინც მივიყვან და თუ ამას ვერ გავაკეთებ, სამუდამოდ წავალ პოლიტიკიდან. ბოდიშს ვუხდი ყველას, ვინც ჩათვალა, რომ გული ვატკინე. არაფერი არ დამთავრებულა, ყველაფერი წინაა!", — ნათქვამია ირაკლი ოქრუაშვილის მიმართვაში.

## ალლუმამდე ერთი დღით ადრე...

*ნინო ბურჯანაძის ბაღში მაისის ვარდები უთუოდ ჰყვავიან, მაგრამ შეძლებს კი ვარდებით ხელდამშვენებული პარლამენტში ტრიუმფით შესვლას, ისე, როგორც ეს ერთხელ იყო?! — ან — კი, ან — არა. მაგრამ ერთმნიშვნელოვან პასუხს ამაზე მხოლოდ 26 მაისის შემდეგ მივიღებთ.*

*ნინო ბურჯანაძე დღეს ყველაზე „რეიტინგული“ ქალბატონია, თუნდაც იმ მხრივ, რომ კითხვების უმეტესობას პასუხი მხოლოდ მან უნდა გასცეს, ბუნებრივია იმ პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში, რაც უშუალოდ მან შექმნა, თანაც ხელოვნურად — წინასწარ დაანონსებული „რევოლუციის“ სახით. მისით ინტერესდებიან არათუ ქართველი, არამედ უცხოელი ჟურნალისტები. გუშინ „რია-ნოვოსტის“ თბილისის ოფისი მედიის წარმომადგენლებს ვერ იტევდა, სადაც ვიდეოხიდის საშუალებით ბურჯანაძე მოსკოვში მყოფ სხვადასხვა ქვეყნის კორესპონდენტებს პასუხობდა.*



## დაკრეფს კი მაისის ვარდებს რევოლუციებში გამობრძმედილი ლედი?!

### რამდენიც ვიქნებით, იმდენნი ვიბრძოლებთ!!!

„სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი შეეცადა, დეტალურად აეხსნა ის ვითარება, რაც საქართველოში ამჟამად ხდება. მისი თქმით, ქართული მედიასაშუალებები აბსოლუტურად არაობიექტურად აშუქებენ აქციებს და ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევა რთულია. უკრაინელი ჟურნალისტის პირველი კითხვა ნინო ბურჯანაძის შესაძლო დაჭერას შეეხებოდა, რაზეც რესპონდენტმა უპასუხა: **„დაჭერებისთვის ხელისუფლებას არგუმენტები არ სჭირდება. თავისუფლად შეუძლიათ აქციის ორგანიზატორებს ბრალდებები არც წაგვიყენონ, ისე გამოგვამწყვდიონ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი დაპატიმრების არანაირი საფუძველი არ არსებობს. თუკი ეს დაანგრევს რეჟიმს, მზად ვარ ჩავჯდე კიდეც“,** — დასძინა ბურჯანაძემ.

„რეალტივის“ ჟურნალისტმა ჰკითხა, შეგიძლიათ თუ არა მოსკოველ ჟურნალისტებს პირდაპირ უთხრათ, რომ ისინი ოკუპანტი ქვეყნის პრესის წარმომადგენლები არიანო? თუმცა ბურჯანაძეს, სხვა თუ არაფერი, დიპლომატიის უნარს ვერავინ დაუწუნებს: ხელისუფალთა პოლიტიკის გამო ჟურნალისტებს პასუხი არ უნდა მოვთხოვოთო. მართალია, სიტყვა „ოკუპანტი“ ან „ოკუპაცია“ არც ერთხელ არ უხსენებია, მაგრამ აღნიშნა, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიის ნაწილი არაკანონიერად აქვს დაპყრობილი, მაგრამ ამისთვის ხელები სწორედ სააკაშვილის უპასუხისმგებლო ქმედებებმა გაუხსნაო.

რაც შეეხებოდა კითხვას — სხვადასხვა ქვეყანაში ქართული დიასპორების რევოლუციურ მოვლენებში მონაწილეობის შესახებ, ბურჯანაძემ არაერთხელ მკაფიოდ თქვა, რომ დიასპორებს შეუძლიათ საკუთარი პოზიცია აჩვენონ, რაღაც ფორმით ჩაერთონ კიდეც ამ პროცესებში, მაგრამ რაც შეეხება უცხო ქვეყნის ხელისუფლების ჩარევას, ეს გამორიცხულია. სწორედ ამ კონტექსტში ახსენა ირაკლი ოქრუაშვილიც. **„ქართულ პარტიას“ არ ვენდობოდი, ამიტომ არანაირი მოლაპარაკებები მათთან არ მქონია. მე მქონდა სრულიად ლეგიტიმური კითხვები ოქრუაშვილის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. თუკი კოორდინირებულად ვმოქმედებთ, მაშინ უნდა ვიცოდე, საიდან შემოვა ოქრუაშვილი, რას აპირებს, მან, როგორც პოლიტიკოსმა, შეიძლება გამოიყენოს იარაღი ან სხვა ქვეყნის ძალა-მეთქი? სუბარმა და გაჩეჩილაძემ თქვეს, ჯერ არაფერი ვიცით, რას აპირებს ოქრუაშვილიო. ამის შემდეგ ოქრუაშვილმა ჩამოსვლა გადაიფიქრა და ეს ფაქტი მე დამბრალდა. მწყინს, რომ ქართულ პოლიტიკაში ისეთი მამაკაცები არიან, რომელთაც საკუთარი თავისა და იდეების რეალიზება ვერ შეძლეს და მარცხი სხვას უნდათ გადააბრალონ“,** — დასძინა ბურჯანაძემ.

ჟურნალისტების ინტერესი გამოიწვია იმან, თუ რატომ არის „სახალხო კრების“ სცენა რუსული დროშის ფერებში გადაწყვეტილი. „მართალი გითხრათ, ამისთვის ყურადღება თავიდან არ მიმიქცევია, — უპასუხა მან, — მაგრამ ჩვენი პოლიციის ოფისებიც ხომ იმავე ფერებშია შეღებილი? საქმე ის გახლავთ, რომ 21 მაისის წინა ღამეს ის მანქანა დააკავეს, სადაც დროშები, ტრანსპარანტები, პლაკატები და სცენა გვქონდა ჩაწყობილი. ბოლო მომენტში მოგვიწია სცენის სასწრაფოდ ყიდვა და ფერებისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. უნდა გითხრათ, რომ ათეულობით მანქანა დააკავეს და კონფისკაცია გაუკეთეს. წუხელ ის მანქანა გაქრა, რომლითაც ნონა გაფრინდაშვილი გადაადგილდებოდა. იქ ქალბატონ ნონას ქურთუკი და სათვალეები დარჩა. პოლიციამ მანქანის გაქრობის ფაქტი უარყო“... რაც შეეხება დროშის ფერებს, ერთ-ერთმა რუსმა ჟურნალისტმა დასძინა: სახალხო კრების დროშა სანდრა რულოვსის სამშობლოს დროშის ფერებს შეესაბამებაო.

ნინო ბურჯანაძეს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტმა იმის გამო უსაყვედურა, რომ აქციები რუსულ გამოშვებებში „ტოპ-ნიუსებში“ ხვდება, მაგრამ პასუხიც ადეკვატური მიიღო: რატომ იმავეს არ უსაყვედურებთ ვანო მერაბიშვილს, რომელსაც რუსული მედია ქება-დიდებას არ აკლებსო? თუმცა პატრულის კარგ მუშაობაზე ბურჯანაძემაც ისაუბრა: **„მე არ ვამბობ, რომ წარმატებები და მიღწევები ქვეყანას არ აქვს და ყველაფერი ცუდი არის. ასე რომ ყოფილიყო, იმდენი ხანი ხელისუფლებაში არც ვიქნებოდი. წარმატებული იყო პატრულის რეფორმა, შენდება ინფრასტრუქტურა, დაიწყო მშენებლობების ბუმი, მაგრამ, რის ფასად? დღეს ბიზნესმენი არ არსებობს, თუ მას ნაციონალებთან კავშირი არა აქვს, მოისპო მექრთამეობაო, მაგრამ ის ინსტიტუციონალური გახდა და ახლა კოლოსალური ჯარიმები დააწესეს, ჰყვავის ელიტური კორუფცია“.**




ელიტურ კორუფციაში საკუთარ თავსაც ხომ არ იგულისხმებდით, რადგან წყნეთში ერთ ლარად შეიძინეთ სახლი, ხოლო სახელმწიფო დაცვით მანამ სარგებლობდით, სანამ სააკაშვილმა არ მოგიხსნათო, — ჰკითხა რუსეთში მოღვაწე ქართული გვარის მქონე ჟურნალისტმა. „როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს და ორჯერ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს სახელმწიფო დაცვა კონსტიტუციით სიცოცხლის ბოლომდე მეკუთვნოდა და სააკაშვილმა არაკანონიერი გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო რაც შეეხება წყნეთის ქონებას, მას სააკაშვილმა ხელი თავად მოაწერა, სრულიად საჯაროდ და დაუფარავად, ამიტომ კორუფცია აქ არაფერ შუაშია. ჩემს კორუმპირებულობაზე სულ მცირე ეჭვიც რომ შეეტანათ, აქამდეც ციხეში ვიქნებოდი“, — უპასუხა ბურჯანაძემ.

და ყველაზე მთავარი კითხვა: რა მოხდება 26 მაისს, შეძლებს თუ არა ხელისუფლება საზეიმო აღლუმის ჩატარებას, დამოუკიდებლობის 20 წლისთავის აღსანიშნავად? ბურჯანაძემ ამაზე გადაჭრით და კონკრეტულად თქვა, რომ — არა!: **„26 მაისს საზეიმო არაფერი გვაქვს. უამრავი ეკონომიკური, სოციალური და სხვა სახის პრობლემაა** ქვეყანაში, რაც მთავარია, მოუგვარებელია ტერიტორიული საკითხები. ვერ ასრულებს ხელისუფლება იმ პირობას, რაც ხალხს 2003 წელს აღვუთქვით. მთავარსარდალმა, რომელიც მიწაზე ფორთხავდა და ბრძოლაში ჯარი მიატოვა, აღლუმი არ უნდა ჩაიბაროს.

**ამიტომ 25 მაისს ძალიან ბევრი ხალხი უნდა შეიკრიბოს თავისუფლების მოედანზე. ჩვენ არ ვაპირებთ რაიმე წინააღმდეგობის გაწევას ჯარისთვის, ისინიც ჩვენი შვილები არიან, მაგრამ სააკაშვილს ზეიმს არ ჩავატარებინებთ. რთულია ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევა. აქტიურად ვერ ვმუშაობთ ქვეყანაში გამეფებული ტერორის გამო, რომელიც ძალიან ძლიერად ხორციელდება. არ ვიცი, რამდენ ხალხს უნდა ველოდეთ თავისუფლების მოედანზე, მაგრამ რამდენიც ვიქნებით, იმდენნი ვიბრძოლებთ“...**

ბურჯანაძემ უცხოელ და ქართველ ჟურნალისტებს აღუთქვა, რომ ყველაფერს გააკეთებს „ნეობოლშევიზმის“ დასამარცხებლად. „საბჭოთა კავშირის დროსაც უსაფრთხოდ ვცხოვრობდით, მაგრამ რეჟიმი იყო ცუდი. როგორც კი ვინმე მას გააკრიტიკებდა, ან გიჟად აცხადებდნენ, ან ამწყვდევდნენ. ასეა ახლაც. მაგრამ მე ვალდებული ვარ, ბოლომდე ვებრძოლო სააკაშვილის რეჟიმს“, — ირწმუნება ბურჯანაძე.

**თეა მოსია**

## განცხადება

## ვითარების გამწვავების შემთხვევაში ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას საპროტესტოდ განწყობილი მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები

„ქართული აკადემია“ კიდევ ერთხელ გამოხატავს შეშფოთებას საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ შეკრებილი დემონსტრანტების მიმართ ხელისუფლების მიერ პროვოცირებული და განხორციელებული ძალადობის გამო.

26 მაისს განზრახული სამხედრო აღლუმი პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით მიგვაჩნია მიზანშეუწონლად, მით უმეტეს, იგი შეიძლება იქცეს დაპირისპირების ახალ კერად. ვითარების გამწვავების შემთხვევაში ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას საპროტესტოდ განწყობილი მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები და ხელი არ აღმართოს ამ უფლებათა გამოხატვის წინააღმდეგ.

ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა განაახლოს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ოპოზიციასთან დაწყებული მოლაპარაკებები, რათა წინასწარ განსაზღვრულ დროში — მაისის ბოლომდე — საზოგადოებამ იცოდეს, ყოფნის თუ არა ხელისუფლებას რეალობის შეგრძნება და შეუძლია თუ არა პროცესები გადაიყვანოს იმ კალაპოტში, რომელშიც შესაძლებელი გახდება საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღება.

თუ ხელისუფლება არ შეცვლის თავის ხისტ დამოკიდებულებას ოპოზიციის მიერ საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად წამოყენებული სამართლიანი მოთხოვნების მიმართ, ამით იგი როგორც ქართველ ხალხს, ისე საერთაშორისო საზოგადოებას დაუდასტურებს, რომ არ აინტერესებს არც დემოკრატიის ბედი საქართველოში, არც ქართველი ხალხის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები.

ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს — თუ იგი ხალხს წაართმევს არჩევანის უფლებას, ამით დახურავს იმ სივრცეს, სადაც შესაძლებელი იქნება პოლიტიკური ცხოვრების წარმართვა ცივილიზებული მეთოდებით.

„ქართული აკადემია“
24.05.2011.

## ვინ როგორ აფასებს

## სააკაშვილის მასობრივი პროტესტით ჩამოგდება ვერ ხერხდება

**პოლიტოლოგ ტარას ბერეზოვეცის განცხადებით, „პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მასობრივი პროტესტით ჩამოგდება ვერ ხერხდება“.**

„სააკაშვილის ხელისუფლება ძლიერია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარდა. პრეზიდენტისადმი ლოიალური ძალოვანები სიტუაციას აკონტროლებენ და ნათელია, რომ არ დაუშვებენ საპროტესტო მუხტისა და აქციების მასშტაბების იმდენად ზრდას, რომ ხელისუფლებას ჩამოგდების საფრთხე დაემუქროს“, — განაცხადა პოლიტოლოგმა „როსბალტთან“ საუბრისას.



რაც შეეხება საქართველოში მიმდინარე საპროტესტო აქციებში რუსული მხარის მონაწილეობის ვერსიას, კერძოდ, ნინო ბურჯანაძის მხარდაჭერასა და დაფინანსებას, ბერეზოვეცის აზრით, ეს ინფორმაცია მხოლოდ ვერსიის დონეზე არსებობს.

„ქართული ოპოზიცია მეტისმეტად მცირერიცხოვანია, რათა სააკაშვილის ხელისუფლებისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენდეს, ამიტომ არ ღირს იმის მოლოდინი, რომ სააკაშვილს ჩამოაგდებენ“, — აღნიშნა ბერეზოვეცმა, რომლის აზრით, „საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ამჯერად არანაირი საერთაშორისო რეზონანსი არ ექნება“.

## საქართველო რევოლუციისთვის ჯერ არ მომწიფებულა

**რუს პოლიტოლოგ ალექსეი ვლასოვის შეფასებით, „საქართველო რევოლუციისთვის ჯერ არ მომწიფებულა“.**

**პოლიტოლოგის აზრით, „თბილისში მიმდინარე აქციების მონაწილეთა 98 პროცენტი თავის გულწრფელ სამოქალაქო პოზიციას გამოხატავს“.**

„სრულიად შესაძლებელია, მიღებული იყოს გადაწყვეტილება, მიხეილ სააკაშვილს მიანიშნონ, რომ დროა, წავიდეს. ან შესაძლოა, „ვარდების რევოლუცია-2“-ის პროვოცირება მოახდინონ და სააკაშვილი ვაშინგტონისთვის უფრო მისაღები ფიგურით შეცვალონ, თუმცა მეჩვენება, რომ ყველა ვარიანტში მსგავსი მასშტაბის რევოლუციისთვის არც ქართული ოპოზიცია მომწიფებულა და ვფიქრობ, სააკაშვილის დასავლელი სპონსორებიც ჯერ უფრო ფრთხილები იქნებიან. ასე რომ, იმის შანსი, რომ ამჟამინდელი სიტუაციის განვითარება სააკაშვილის ჩამოგდებამდე მივიდეს, არსებობს, თუმცა არც ისე მაღალი“, — განაცხადა პოლიტოლოგმა.

**მაკა ბრეგვაძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◎ მოვლენები...

# არის კი სააკაშვილის მოძულეობა საკმარისი პირობა უკეთესი ქვეყნის ასაშენებლად?



**ირაკლი ოქრუაშვილი ისევ არ ჩამოდის საქართველოში, ისევ თამაში და ხალხის ნერვებზე ზემოქმედება...** ეს ექსპერტმა ნიკა ჩიტაძემ იწინასწარმეტყველა: „ქართული პარტიის“ საფრანგეთში მცხოვრები ლიდერის ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში შესაძლო „ჩამოსვლა“ **ნიკა ჩიტაძემ** „პოლიტიკურ ხრიკად“ მიიჩნია. მან „ჯი-ეიჩ-ენ“-ს განუცხადა, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი სინამდვილეში სამშობლოში დაბრუნებას არც აპირებს.

„შეიძლება ოქრუაშვილი საერთოდაც არ ფიქრობდეს საქართველოში ჩამოსვლას და მისი განცხადება იყოს პოლიტიკური ხრიკი და საზოგადოების იმ ნაწილმედიაც უწყობს ხელს და ავრცელებს იმას, რაც თავად ხელს აძლევთ...“

„უნაყოფო და უაზრო სისხლისღვრით დასრულდება ეს ყველაფერი, სააკაშვილი კი თავის სკამზე დარჩება, ვიდრე დასავლეთი მის შემცვლელს არ მოძებნის. თუმცა აქ განვითარებული მოვლენები მის პოზიციას ძალიან შეარყევს“, – ფიქრობს „სახალხო ფრონტის“ ლიდერი **ნოდარ ნათაძე**. მისი აზრით, ის, რაც დღეს საქარველოში ხდება, არის პუტინ-სააკაშვილ-ბურჯანაძის შეთქმულება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ.

სერიოზული გამოცემა **„Le Figaro“** წერს, რომ მრავალი მცდელობის მიუხედავად, ოპოზიციაზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის საშუალება, რომელიც აქციებს არ უერთდება. მსგავსი რამ ჩვენ 2009 წელსაც მოგვისმენია,“ – განმარტა ჩიტაძემ.

და ეს აზრი „მრისხანების დღედ“ გამოცხადებულ 25 მაისამდე ერთი დღით ადრე დადასტურდა.

„გვეცინება ჩვენც და, ალბათ, თქვენც. თუ ოქრუაშვილს ჩამოსვლის თავი არ აქვს და საფრთხეებს ხედავს, ჩვენ ნუ გვაბრალებენ. არ შეიძლება ასეთი რამ. სასირცხვილოც არის და არასერიოზულიც“, – განმარტა ბათიაშვილმა.

„ოქრუაშვილის ჩამოსვლა კარგს არაფერს ნიშნავს, ასე მგონია! მაგას რუსული ჯარის იმედი აქვს და ყველაფერზე წავა! არც სააკაშვილი დათმობს იოლად და მათი სკამებისთვის ხალხი უნდა დაიხოცოს? რომ გვანამუსებენ, გამოდით და გამოდითო! ასულელებენ გამწარებულ ხალხს და თავიანთ საქმეს იკეთებენ! ნეტა ომი არ დაიწყებოდეს 25-ში და...“ – მითხრა სოლიდურმა ქალბატონმა, მეცნიერმა. ხოლო მეორე ასაკოვანმა ქალბატონმა განმიცხადა, რომ არ დაიღლება და ბოლომდე იდგება აქციაზე, სანამ მიზანს არ მიაღწევენ...

ექსპერტ **ნიკა ჩიტაძის** აზრით, სახალხო კრების მიზანია საქართველოს იმიჯის შელახვა და ჩვენი ქვეყნის არასტაბილურ სახელმწიფოდ წარმოჩენა. პროვოკაციებზეც სწორედ იმიტომ მიდიან, რომ უცხოურ მედიაში მოხვდეს კადრები, რომელშიც ხელისუფლება არბევს ოპოზიციის მიტინგს. ამ ყველაფერს რუსული მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს სერიოზულ პრობლემას ვერასდროს უქმნიდა.

შესაძლოა, ამჯერად რაღაც ისეთი მოხდეს, რაც სააკაშვილის რეჟიმის კრახით დასრულდება, განაცხადა რუსმა ექსპერტმა და დუმის დეპუტატმა **სერგეი მარკოვმა** საქართველოში განვითარებული ამბების კომენტირებისას.

„საქართველოში მიმდინარე მოვლელები შესაძლოა უშედეგოდ დასრულდეს. სააკაშვილსა და ოპოზიციას დაახლოებით თანაბარი მხარდაჭერა აქვთ. სააკაშვილს მეტად სოფლის მოსახლეობა, სახელმწიფო აპარატი და ძალოვანი სტრუქტურები უჭერენ მხარს. ოპოზიციას კი მსხვილი ქალაქების – თბილისისა და ქუთაისის მოსახლეობა უჭერს მხარს,“ – აღნიშნა მარკოვმა.

მისივე თქმით, ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა ყველაფერი ამჯერადაც ისე დასრულდეს, როგორც უწინ, თუმცა არც მოვლენების სხვაგვარად განვითარებაა გამორიცხული.

„რა ხდება?“ – კითხულობს **ნოდარ სარჯველაძე** და იქვე განმარტავს:

„ვინც დღეს სახელმწიფო გადატრიალების ავანგარდშია, გუშინ სააკაშვილის გუნდში იყო. მათ დიდ უმეტესობას რაღაცის დაბრუნება სურთ: ოქრუაშვილს და ბურჯანაძეს თავისი ხელისუფლებითი პოზიციების, კიწმარიშვილს და ლევან გაჩეჩილაძეს – თავისი მილიონების... ეს არის „დამბრუნებელთა“ რევოლუციური ტალღა. საქართველო რევოლუციებისა და გადატრიალებების ჭაობში ეფლობა, რომელიც სააკაშვილმა დაიწყო. ბურჯანაძე-კიწმარიშვილ-გაჩეჩილაძე-ოქრუაშვილის ხელისშემშლელი სააკაშვილია და გასაგებია მათი სურვილი და მოტივაცია მისი გადაგდების. მაგრამ რატომ ჰგონიათ მათ, რომ ხალხი მათ დაუჯერებს, თითქოს მათ ქვეყნისთვის სიკეთის გაკეთება სურთ?.

თუ სურთ, მაშინ რაიმე პროგრამა აქვთ? თუ აქვთ, სად არის? ან როგორ უნდა ჰქონდეთ, თუ აქამდე არ ჰქონიათ? ან მათ მიმდევრებს რატომ ჰგონიათ, რომ სააკაშვილის მოძულეობა საკმარისი პირობაა, რათა უკეთესი ქვეყანა ააშენო და თანაც რატომ მაინცდამაინც ბურჯანაძე-კიწმარიშვილ-გაჩეჩილაძე-ოქრუაშვილის ალიანსი ააშენებს ამ ქვეყანას? ესენი ხომ უკვე იყვნენ და იმაზე მეტს რას შეძლებენ, რაც გააკეთეს?

მაგალითად, ოქრუაშვილი არ იყო, რომ არბევდა? და ბევრი ასეთი კითხვაა, რომელსაც ვერ ვცემ პასუხს,“ – ასკვნის სარჯველაძე.

**გია ხუხაშვილი** კი მაინც ოპტიმისტია და სჯერა, რომ მიუხედავად დრამატიზმისა და კონკრეტული ტკივილისა, ეს პროცესი როგორადაც არ უნდა დასრულდეს, ქართული საზოგადოება მაინც მოგებული დარჩება.

„თუ ხელისუფლებამ მოახერხა აქტივობის ჩახშობა, ეს გამოიწვევს ოპოზიციური პოლიტიკური ელიტის პოლიტიკიდან გასვლას, რომელიც, ჩემი აზრით, სრულად იზიარებს პასუხისმგებლობას იმაზე, რაც დღეს ქვეყანაში ხდება. იგივე ბიწაძე და ოქრუაშვილი, აღარაფერს ვამბობ ბურჯანაძეზე, ამ ხელისუფლების ნაწილი არ იყვნენ? ესეც შედეგი იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ მათი პოლიტიკური ასპარეზიდან გასვლა გააჩენს სივრცეს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ახალი პოლიტიკური ელიტის შესაქმნელად. ეს კი, ქვეყანას განვითარების ახალ შანსს გაუჩენს.

თუ ოპოზიციამ შეძლო ხელისუფლების გასტუმრება, ასეთ შემთხვევაში ქართული საზოგადოების როლი ის იქნება, რომ მათ არ დაუშვან რევოლუციური ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლა...მათ ხელისუფლებაში ყოფნის დადებითი გამოცდილება არა აქვთ და ისინი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დღევანდელი ხელისუფლების მმართველობის სისტემისგან განსხვავებულ სისტემას ვერ შექმნიან.“

რუსთაველის გამზირზე სამხედრო აღლუმისთვის ემზადებიან... „სახალხო კრება“ კი აღლუმის ჩაშლისთვის ემზადება.

„აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებაა, რომ გორში მიწაზე მფორთხავი მთავარსარდალი მშვიდად ვერ ჩაიბარებს სამხედრო აღლუმს, „სახალხო კრება“ ყველაფერს გააკეთებს ამისთვის, ეს ჩვენი ღირსების საქმეა. ჩვენი მოქმედებები იქნება მშვიდობიანი და კონსტიტუციური. მსოფლიოს დავანახვებთ, რომ ღირსების აღდგენისა და დემოკრატიისთვის ვიბრძვით“, – განაცხადა 23 მაისს ტელევიზიასთან გამართულ მიტინგზე „სახალხო კრების“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ.

**მამუკა არეშიძის** ვარაუდით, „სახალხო კრების“ აქციები 25 მაისის შემდეგ აღარ გაგრძელდება.

„პრეზიდენტს გაუცია მითითება, რომ 25 მაისისთვის ქუჩაში აღარაფერი აღარ უნდა იყოსო“, – განაცხადა არეშიძემ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში.

**ნათია ნიბლაძე**

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

# პასუხისმგებლობას მმართველ ძალას აკისრებენ

**24 აპრილს პოლიტიკური პარტიის „მთლიანი საქართველოს“ გენერალური მდივნის ჯემალ შელიას განცხადებით, მათი პარტიის მიზანი – ხალხისთვის სამართლიანობის დაბრუნებაა. პარტია კონკრეტული ადამიანების ამბიციებს არ ემსახურება, იგი რეაქციაა იმ მიდგომებზე, რომლებიც მთავრობას ახასიათებს.**

– ვფიქრობ, მოვლენები საზოგადოებრივ მოლოდინს გაამართლებს, შედგება ძალების კონსოლიდაცია, რომელიც აიძულებს ხელისუფლებას დათმოს პოზიციები და დანიშნოს არჩევნები, – განაცხადა ჯ. შელიამ.

ჯემალ შელიამ შეკრებილთ გააცნო პარტიის განცხადება:

პოლიტიკური პარტია „მთლიანი საქართველო“ ქვეყანაში არსებულ უკიდურესად რთულ, არასტაბილურ პოლიტიკურ ვითარებას მიიჩნევს ქართული სახელმწიფოებრიობის რეალური საფრთხის მატარებელ სოციალურ მოვლენად და თვლის, რომ ეს არის ნაციონალური მოძრაობის, ხელისუფლების და მისი სატელიტი პარტიების, ასევე მათი რუპორი მასმედიის საშუალებების რეაქციული, რბილად რომ ვთქვათ, არათანმიმდევრული პოლიტიკის შედეგი.

მმართველი პარტიის, ქვეყნის ხელისუფლების, მასთან ღია თუ ფარულ გარიგებაში მყოფი პოლიტიკური ძალების ინტერესებში არის არა საზოგადოების კონსოლიდაცია, პოლიტიკური პროცესების ჯანსაღი და კონსტრუქციული წარმართვა, არამედ პოლიტიკური ძალების გათიშვა, პოლიტიკურ პროცესებში დაბნეულობის შეტანა, საზოგადოებაში ნიჰილისტური განწყობის დანერგვა. თავისი ანგარებითი პოლიტიკური ინტერესების განხორციელებისთვის ხელისუფლება იყენებს მის ხელთ არსებულ სახელმწიფო ინსტიტუტებს, ძალოვან სტრუქტურებს და მასმედიას.

ქვეყნის ბედი დიდი საფრთხის წინაშე დგას და არ არის გამორიცხული ხელისუფლებამ სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებას შეუწყოს ხელს. ეს ნიშნები იკვეთება როგორც ე. წ. რადიკალური ოპოზიციის ქმედებებში, ასევე 8-იანის ხელისუფლებასთან მიმდინარე დიალოგის პროცესებში ხელისუფლების პოზიციაში. პარტია „მთლიანი საქართველო“ შექმნილ ვითარებაში ლოგიკურად მიიჩნევს სახალხო კრების მიერ ორგანიზებულ საპროტესტო მოძრაობას. განიხილავს მას, როგორც დესტრუქციული ძალების, ხელისუფლებისგან ჩამოშორების ლეგიტიმურ საშუალებას და მხარს უჭერს მას. ჩვენი პარტია მრავალრიცხოვანი თანამოაზრეებითა და მხარდამჭერებით სოლიდარობას უცხადებს საერთო სახალხო პროცესს და მოახდენს ძალების მობილიზებას აქციებში მონაწილეობის მისაღებად.

პარტია „მთლიანი საქართველო“ თვლის, რომ ქვეყანაში ისტორიული მნიშვნელობის მქონე პროცესებია და ამ ვითარებაში, ის პოლიტიკური პარტიები (ძალებიძ, რომლებიც ირჩევენ დამკვირვებლების პოზას, ემსახურებიან არა ერისა და ქვეყნის, არამედ გარკვეულ პირთა ჯგუფების ინტერესებს.

„მთლიანი საქართველო“ გმობს ამ დღეების განმავლობაში მშვიდობიან მომიტინგეებზე თავდასხმის და გატაცების ფაქტებს და ხელისუფლებას მოუწოდებს მანიფესტანტებს მისცეს აქციების მშვიდობიანად ჩატარების საშუალება. ნუ უბიძგებს მათ რადიკალური ქმედებებისკენ და ნუ შექმნის სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს.

ახლა მოქმედების დროა და ყველა ჯანსაღ პოლიტიკურ ძალას მოვუწოდებთ მოქმედებისკენ, – ნათქვამია განცხადებაში.

◎ ინფორმაცია

## რადიკალური ოპოზიცია ხელს პოლიტიკურად სასიკვდილო განაჩენს აწერს

„ქრისტიან-დემოკრატების“ შეფასებით, რადიკალური ოპოზიცია თავისი ქმედებებით ხელს პოლიტიკურად სასიკვდილო განაჩენს აწერს. „ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენლის, ვიცე-სპიკერის ლევან ვეფხვაძის შეფასებით, რადიკალური ოპოზიციის ქმედებები საბოლოო ჯამში მათ პოზიციებზე დადებითად არ აისახება.

– გასაგებია, რომ ოქრუაშვილმა, როცა დააანონსა ჩამოსვლა, მას სურდა ხალხში მოლოდინი გაეჩინა, რადგან შესაძლებელი იყო ადამიანები ქუჩაში იმიტომ გამოსულიყვნენ, რომ მათ აქციაზე ირაკლი ოქრუაშვილი დახვდებოდათ. თუმცა, ამ გადაწვეტილების შემდეგ დარწმუნებული ვარ, ისინიც კი ვინც აქციებზე დადიოდნენ, თავს შეიკავებდნენ მომავალში აქციაზე გამოსვლისგან, რადგან ეს მათთვის იმიჯის შემლახველი იქნება, – აღნიშნა ვეფხვაძემ.

მისივე შეფასებით, გაუგებარია „სახალხო კრება“ და „ქართული პარტია“ რატომ დავობენ რევოლუციის ავტორობაზე, რადგან ამ მოძრაობებს ცალ-ცალკე არ აქვთ საკმარისი რესურსი მის მოსაწყობად.

– მართალია რევოლუციის მოწყობა მათი ერთად დგომის შემთხვევაშიც ბევრ კითხვის ნიშანთან არის დაკავშირებული, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, ცალ-ცალკე ეს რესურსი მათ არ აქვთ, – აღნიშნავს „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი.

აღნიშნულიდან გამომდინარე კი, ვეფხვაძეს რადიკალურ ძალებს შორის შეუთანხმებლობა უცნაურად ეჩვენება და აცხადებს, რომ პოლიტიკური სიცოცხლის გახანგრძლივების თვალსაზრისით, ისინი იმ სასიცოცხლო არტერიას იჭრიან, რომლითაც იკვებებიან, როგორც პოლიტიკოსები.

– ეს ძალები პრაქტიკულად ამით ხელს აწერენ პოლიტიკურად სასიკვდილო განაჩენს,– მიაჩნია ვიცე-სპიკერს.

ჯი-ეიჩ-ენი

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

აქციის კრახი

**სახალხო კრების მიერ დაანონსებული რევოლუცია, როგორც მოსალოდნელი იყო, არ შედგა! მხედველობაში 21 მაისსავე, ანუ, მყისიერად მიღებული თუ დამდგარი შედეგის, სააკაშვილის გადადგომის არარსებობა მაქვს, თორემ რაღაც პროცესი, რომ ავად თუ კარგად დაიწყო, ეს უდავო ფაქტია!**

# ვის ეკისრება მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობა?..



აქედან გამომდინარე, საზოგადოების აზრი, ორად არის გაყოფილი. პირველი, ისინი ვინც ამბობენ – აი, ხომ ნახეთ, ხომ ვამბობდით, რომ არაფერი გამოვა, მიშა არ გადადგება. და მეორე პოზიცია, ვინც 21 მაისი პროცესის, ბრძოლის დასაწყისად აღიქვა, რომელიც ბოლოს ხელისუფლების შეცვლით უნდა დასრულდეს.

როგორც იტყვიან, ორივე აზრს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ... აი, ეს ერთი შეხედვით უწყინარი სიტყვა „მაგრამ“ არის, რომ ყველაფერს თავდაყირა აყენებს! ანუ, ჩნდება ერთი კითხვა, რამდენად არიან გულწრფელები, ერთნიცა და მეორენიც?

დავიწყოთ პირველით, ანუ, „ხომ ვამბობდი, არაფერი გამოვათი“, რაც, დამეთანხმებით, ყველაზე ადვილი და მომგებიანი პოზიციაა, რასაც, ხშირ შემთხვევაში, ჩასაფრების, ქირქილის სურნელი დაჰკრავს. აქედან გამომდინარე არა გულწრფელობისაც, რადგანაც მხოლოდ შლეგს შეიძლებოდა გულწრფელად ჰგონოდა, რომ მიშა ერთ შეძახილზე შეიძლება გადამდგარიყო!

რაც შეეხებათ მეორეებს, მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც 10 ათასამდე კაცი გამოვიდა 21-ში, იმედი არ გადაწურვიათ და სახალხო კრების ორგანიზატორთა მტკიცებით, ბოლომდე, საბოლოო გამარჯვებამდე აპირებენ აქციის გაგრძელებას. ისე სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოს, რომ პირველად მოხდა ის, რომ აქციის დარბევის მცდელობა, მცირერიცხოვან მომიტინგეთა გამარჯვებით დასრულდა. თუ აქამდე, როგორც წესი, მომიტინგეები ილახებოდნენ, 22-ში დილით სამართალდამცველებმა, მიუხედავად იმისა, რომ რეზინის ტყვიები და მხუთავი გაზები გამოიყენეს, გვარიანი ხურდაც მიიღეს. ჯერ მათი მანქანა დროშის ტარებით დაჩეჩქვეს და შემდეგ ადგილობრივებად, საბურთალოელებად გადაცმულ ზონდერებს, სულ კუდით ქვა ასროლინეს.

ეს ყველაფერი პატარა, ლოკალურ გამარჯვებად აღიქვეს და სრულიად სამართლიანადაც, რადგან, ვიმეორებ, ადრე პირიქით ხდებოდა!

ამ ყველაფერს მოჰყვა ის, რომ ქართულმა პარტიამ დანაპირები (ხელისუფლებამ თუ ხალხზე ძალა იხმარა, აქციას შევუერთდებითო) შეასრულა! აქციას შეუერთდნენ და უფრო მეტიც, ნინო ბურჯანაძეს და ლევან გაჩეჩილაძის საჯარო შერიგებაც შედგა – ამ ემოციურ, გულისამაჩუყებელ სცენას, აშკარა მოწონებით შეხვდა დამსწრე საზოგადოება.

რაც შეეხება ხელისუფლებას, იგი ჩვეულ სტილში მუშაობს – სააკაშვილი უნგრეთში, შეიძლება ითქვას, დემონსტრაციულად გაერიდა მოვლენათა ეპიცენტრს. თანაც დაუბარებია, უფრო სწორედ უბრძანებია, რომ ჩამოვალ, ანუ 26 მაისის სამხედრო აღლუმისთვის, დედაქალაქი „ალაგებული“ დამახვედრეთო! ჰოდა ისინიც „ალაგებენ“, აქციის რიგითი მონაწილეების დაკავების, დაპატიმრებების ფაქტებმა, მთელი ქვეყნის მასშტაბით უკვე 150-ს გადააჭარბა. არიან ისეთებიც, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან. ანუ...

კიდევ მინდოდა ამ წერილის პათოსის გაგრძელება, მაგრამ, როგორც იტყვიან, მუშაობისას ისეთი ცნობა წამომეწია, რომ ლამის თავდაყირა დამიყენა, რაც ზემოთ დავწერე. ამიტომ იძულებული ვარ მკვეთრად შევცვალო ტონიც და წერილის პათოსიც!

საქმე ის გახლავთ, რომ ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში დაბრუნების ლამის 100-პროცენტიანმა გარანტიამ „ჩაილურის წყალი დალია“ – ქართულმა პარტიამ განაცხადა ამის შესახებ. რის მიზეზადაც დასახელდა ის, რომ მიუხედავად ბურჯანაძე-გაჩეჩილაძის საჯარო ხვევნა კოცნისა, ვერ მოხერხდა შემდგომი ერთიგლივი მოქმედებების უზრუნველყოფა. ამიტომ, აცხადებს ქართული პარტია, რათა საზოგადოება არ დააბნიონ ერთდროულად ორი, სახალხო კრების 25-ში თავისუფლების მოედანზე და ქართული პარტიის მიერ ავლაბარში დაანონსებული აქციით, ეს უკანასკნელნი უარს აცხადებენ როგორც ავლაბრის აქციის გამართვაზე, ისე ირაკლი ოქრუაშვილის ჩამოსვლაზე.

რა არის ეს, ხალხო! ამ შემთხვევაში ხალხში საზოგადოებას და არა კრებას, ან ქართულ პარტიას ვგულისხმობ! ამაზე მეტი დაბნევა და აბსურდი გაგონილა? რა არის ეს თუ არა, უკეთეს შემთხვევაში „უჩემოდ ვინ იმღერითა“ და უარესში სახალხო კრების მიერ ნიღბის ჩამოხსნა? ანუ, ის რომ, არავითარი სახალხო კრება არ არსებობს და ის უბრალოდ ბურჯანაძის პარტიის „შპს“-ა.

დიახ, ბატონებო! ამჯერად ბურჯანაძეზეა ვითომ შემდგარი ერთობის ჩაშლის მთელი ტვირთი! რადგანაც, მართალია არც იმის 100-პროცენტიანი იმედი იყო, რომ ირაკლი ოქრუაშვილი მართლაც ჩამოვიდოდა, მაგრამ რადგან ქართულ პარტიას ბურჯანაძემ ამ მხრივ „თავის გამოჩენის“ საშუალება არ მისცა, ანუ, არც თუ უსაფუძვლო მიზეზი მისცა იმისა, რომ მათ თავის პირობაზე უარი ეთქვათ (მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო, ერთდროულად ავლაბარში ირაკლი და თავისუფლების მოედანზე ნინოძ, მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობა, მთლიანად ბურჯანაძეზე იქნება!

შედეგი კი ის იქნება, რომ სახალხო კრების აქციის კრახი, ანუ მიშას ვერ გაშვება, ამ ხელისუფლებას ყველა მიმართულებით გაამძვინვარებს, რაც პირველ რიგში ისევ ჩვენზე, უბრალო ხალხზე აისახება.

ასე რომ, ქალბატონ ნინოს ნუ ჰგონია, რომ ბევრით აღემატება ირაკლი ოქრუაშვილს! მეტიც, თუ წარსულის ჩხრეკა-შედარებაზე მიდგა საქმე, ეს მის სასარგებლოდ ნამდვილად არ დამთავრდება. ირაკლის ერთი კარგი, ვაჟკაცური ნაბიჯი მაინც აქვს გადადგმული. როცა თავდაცვის მინისტრმა გადაკეტილ რუსთაველზე მანქანა გააჩერა და სანდრო გირგვლიანის მკვლელობა ღიად გააპროტესტა.

ამ ამბის უშუალო მხილველი მე გახლავართ, ვინც თანასწორობის ინსტიტუტის დამფუძნებელ ირაკლი კაკაბაძესთან ერთად, პარლამენტის წინ, ასფალტზე ვიწექი!

**დავით მხეიძე.**

პოლიტიკა და ეკონომიკა

# რა მიზნით გვაშინებენ ექსპერტები?!..

**ეკონომიკის ექსპერტების აზრით, გრძელვადიანი პოლიტიკური დაძაბულობა და აქციები ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნეს-პროცესებზე ნეგატიურად აისახება.**



როგორც „პირველს“ ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში **ირაკლი ლექვინაძემ** განუცხადა, „თუ აქციები დიდხანს გაგრძელდა, ეს ქვეყნის ეკონომიკისთვის მძიმე შედეგებს მოიტანს“.

**„ჯერჯერობით ერთი ქუჩის გადაკეტვის გარდა, სხვა ტიპის პარალიზება, რომელიც ეკონომიკურ აქტივობაზე იმოქმედებდა, არ ყოფილა. ყველაფერი აქციების სიმწვავზე იქნება დამოკიდებული. თუ დემონსტრაციები შეტაკებებში, დარბევებში, სხვადასხვა ობიექტების დაზიანებაში გადაიზარდა და ეს დიდხანს გაგრძელდება, შედეგები, რა თქმა უნდა, მძიმე იქნება“,** – განუცხადა „პირველს“ ლექვინაძემ.

მისივე თქმით, პოლიტიკური სიტუაცია და მიმდინარე დემონსტრაციები ეკონომიკურ აქტივობას პირველ რიგში, ინვესტიციების განხორციელების ნაწილში აფერხებს, რადგან ფულის დაბანდების მსურველები მოლოდინის რეჟიმში გადადიან.

**„მიმდინარე წელი საქართველოში ინვესტიციების დიდი აქტივობით ისედაც არ გამოირჩევა. ვინც დღეს საქართველოში მუშაობს, მაღალი რისკების გარემოშია ადაპტირებული. რაც შეეხება პოტენციურ ინვესტორებს, ისინი მოვლენების განვითარებას, შედეგებს დაელოდებიან და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას, დაიწყონ თუ არა პროექტების განხორციელება“,** – აღნიშნა ლექვინაძემ.

იმას, რომ შიდა პოლიტიკური არეულობა ქვეყნის ეკონომიკას კარგს არაფერს მოუტანს, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდაძეც იზიარებს, თუმცა იქვე დასძენს, რომ საპროტესტო გამოსვლები მთელს ცივილიზებულ სამყაროში დემოკრატიული პროცესების ერთ-ერთ უმთავრეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

**„აქციები და სახალხო მღელვარება, ბუნებრივია, ეკონომიკური და ბიზნეს-პროცესების განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებს არ წარმოადგენს. შესაბამისად, ცხადია, რომ მიმდინარე პროცესები ქვეყნის ეკონომიკაზე პოზიტიურად ვერ აისახება, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი გამოსვლები მთელს ცივილიზებულ სამყაროში დემოკრატიული პროცესების ერთ-ერთ უმთავრეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ადამიანებს აქვთ პროტესტის გამოხატვის უფლება, გაფიცვის უფლება, არდამორჩილების უფლება და ასე შემდეგ. შესაბამისად, ცივილიზებული სამყარო, მათ შორის ეკონომიკური და ბიზნეს-პროცესების თვალსაზრისით, ამგვარ გამოსვლებს ნორმალურ და ჩვეულებრივ პროცესებად აღიქვამს. მთავარი ის ფორმები და ვადებია, რომელიც საპროტესტო აქციებს თან სდევს. უსაშველოდ „გაწელილი“ აქციები და დაუსრულებელი პროტესტი ეკონომიკაზეც და ბიზნესზეც ნეგატიურად აისახება“,** – განმარტა ექსპერტმა და იქვე დასძინა, რომ „საზოგადოებამ საკითხების დაჩქარებულად, ფორსირებულად გადაწყვეტა უნდა ისწავლოს“.

**თელარა გელანტია**
პირველი

ხალხის აზრი

# ქართული ჯარი მოქალაქეთა წინააღმდეგ წავა?..

***სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, აქციის მხარდამჭერები 25 მაისს ავლაბრის ნაცვლად თავისუფლების მოედანზე შეიკრიბებიან. როგორც ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ქართული ჯარი მოქალაქეების წინააღმდეგ სადამსჯელო აქციაში მონაწილეობას არ მიიღებს. მისი თქმით ქვეყნის მთავარსარდალი მიხეილ სააკაშვილი აღლუმს მშვიდად ვერ ჩაიბარებს.***

***მიმდინარე აქციებთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტებმა თბილისის ქუჩებში მოქალაქეებს რამდენიმე კითხვით მიმართეს.***

***რას ფიქრობთ მიმდინარე მოვლენებზე.***

***მიიღებენ თუ არა დაგეგმილ აქციაში მონაწილეობას.***

**ელენე გორდიაშვილი,** 62 წ. გამყიდველი: სააკაშვილთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს, მე მომწონს მისი პოლიტიკა, არასდროს არ გავსულვარ აქციაზე არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრები.

**ლაშა გვარამია,** 25 წ. სტუდენტი: აქციას ვუერთდები: ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, დადიან და აგრესიას აფრქვევენ. ჩვენმა თაობამ უნდა იზრუნოს ჩვენს მომავალზე, რა თქმა უნდა, 25-შიც ვიქნები ჩემი ხალხის გვერდით და მერეც.

**დიმიტრი კიკნაძე,** ბანკის თანამშრომელი. აქციის მომხრე არ ვარ. არ ვაპირებ გამოსვლას.

**ალექსანდრე ვარდოსანიძე,** 35 წ. დაცვის თანამშრომელი. აქციაზე იმ პირობით გავალ თუ სამსახურიდან გამომიძახეს სიტუაციის გასანეიტრალებლად. მე დღევანდელი ხელისუფლებით უკმაყოფილო არ ვარ. მოვა მშიერი ხალხი და ისევ დაიწყება ქურდობა და მაიმუნობა.

**ნინო ასლამაზიშვილი.** 23 წლის. აქციაზე მეგობრებთან ერთად 2007 წლის 7 ნოემბერსაც ვიყავი.: ყველანაირად ვუჭერდი მხარს, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ოპოზიცია ამად არ ღირს. ადამიანებს ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებენ. 25 მაისს დიდი არაფერი მოხდება ჩემი აზრით.

**ნანი ნარიმანიძე,** 45 წ.: არც ამათი მჯერა და არც იმათ აქციაზე არ გავალ, ყველა თანამდებობაზე ფიქრობს. ხალხზე რომელი ზრუნავს, ერთი მითხარით და ვის დავუჭირო მხარი ამათ? ეგ კი არა, არჩევნებზე არ გავდივარ, უკვე რამდენი ხანია არ მჯერა არავისი.

**ლალი დარასელია,** 35 წ. დღევანდელი მთავრობა არ მომწონს აფხაზეთიდან ვარ დევნილი, ლტოლვილთა მინისტრი კობა სუბელიანი საერთოდ არ გვაქცევს ყურადღებას და თუკი აკეთებს რამე უმნიშვნელოს, მერე გვამადლის, აქციაზე გავალ 25-ში აუცილებლად და ჩემი დგომით დავუჭერ მხარს. ამათზე უარესი ხომ არ მოვა მაინც.

**გვარის გამხელა არ ისურვა,** 28 წ. სულ არ მაინტერესებს, რა ხდება, მე ჩემი პრობლემები მაქვს და ვერც ახლანდელი და ვერც ის ხელისუფლება, რომელიც შემდეგ მოვა, ჩემს კრედიტებს მაინც ვერ დაფარავს.

**ლია ადიკაშვილი,** 59 წ. გეო-ფიზიკოსი. აქციაში მონაწილეობას არავითარ შემთხვევაში არ მივიღებ. ახლანდელზე უკეთესი არავინაა, შუბლის ძარღვი აქვთ გაწყვეტილი. ვერ გეტყვით, მოვლენები როგორ განვითარდება, ეს მათ სინდისზე იყოს, ვისაც ქუჩაში ხალხი გამოყავს.

**გია შოთიაშვილი,** 37 წ. იურისტი: ეს ხელისუფლება უნდა დამთავრდეს. ძალიან მძიმეა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობა, ფასების ზრდა და ა. შ. სადაც ქართველები იდგებიან, მეც მანდ ვიქნები. მოძრავ ქვას კი, როგორც ამბობენ, ხავსი არ ეკიდება.

**გულიკო ჭითანავა,** 70 წ: მოხუცი ვარ და სამწუხაროდ აქციაზე ვერ მივდივარ. ეს საქმე ახალგაზრდებისთვის კეთდება. ყველა უნდა გამოვიდეს, დაუდგეს ერთმანეთს გვერდით და მომავალი გადაარჩინოს.

**ირინა ოზოლაშვილი, გულნაზ გახარია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◎ გადასახადები

**_საწარმოებში ტექნიკური დანაკარგების საკითხი როგორც მსხვილი და საშუალო, ისე მცირე საწარმოებისთვის საკმაოდ მტკივნეული საკითხია. ბოლო დრომდე წარმოების ფაქტობრივად ყველა დარგში ტექნიკური დანაკარგი ისევე იბეგრებოდა, როგორც გაყიდული საქონელი, რაც მეწარმეებს ფინანსურ ზარალს აყენებდა, ხშირად, მნიშვნელოვანსაც. ცოტა ხნის წინათ ამ მიმართულებით, რომ იტყვიან, „საქმე მკვდარი წერტილიდან“ დაიძრა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან დანაკარგების კომისია შეიქმნა, რომელმაც შესაბამისი მაჩვენებლები უკვე დაადგინა მეტალურგიაში, ასევე უალკოჰოლო სასმელებისა და თამბაქოს პროდუქციის წარმოებაში, ახლა კი ჯერი თხილის ბიზნესსა და მინის წარმოებაზეა მისული, რის შესახებ „სრ“ ცოტა ხნის წინათ წერდა კიდეც. ეს ერთ-ერთია იმ სამი ინიციატივიდან, რომლებითაც აპრილში საქართველოს მთავრობა გამოვიდა._**

# ხომ არ ჩაკვდება სასიკეთო სიახლე?!

საგაზეთო პუბლიკაციაში ისიც აღვნიშნეთ, რომ ამა თუ იმ სფეროში მომუშავე საწარმოებს, სურვილის შემთხვევაში და გარკვეული საზღაურის ფასად, შეუძლიათ კომისიას მიმართონ და იგი მათ ტექნიკური დანაკარგის ზღვრულ დონეს განუსაზღვრავს. ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მომავალში, საგადასახადო შემოსავლების სამსახურის მიერ საწარმოს შემოწმების დროს, ეს ნორმა უკვე დადგენილი იქნება და ზედმეტი დავის საგანი აღარ გახდება.

მთავრობის ინიციატივის არსი ისაა, რომ **საგადასახადო რისკის წარმოშობის შემთხვევაში, რის თაობაზე გადასახადის გადამხდელს დროულად შეატყობინებენ, ამ უკანასკნელს უფლება ექნება, შემმოწმებელი სტრუქტურა თავად შეარჩიოს — ეს იქნება ან ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, დამოუკიდებელი აუდიტორული თუ საკონსულტაციო კომპანია.** აღსანიშნავია, რომ თუ შემოწმებას შემოსავლების სამსახური ჩაატარებს და დარღვევას აღმოაჩენს, დამრღვევი მეწარმე დაკისრებულ ჯარიმას სრულად გადაიხდის, ხოლო თუ საწარმოს დამოუკიდებელი აუდიტორი შეამოწმებს, მას ჯარიმის ნაწილი ჩამოეწერება. საქმე ის არის, რომ დამოუკიდებელ ექსპერტთა საქმიანობა ფასიანია და ეს არცთუ იაფად ღირებული „სიამოვნებაა“. ოფიციალური განმარტებით, **ალნიშნული ინიციატივა ჯერჯერობით „პილოტურ“ რეჟიმშია და მომდევნო სამი-ექვსი თვის განმავლობაში მისი გამოყენება ყველა კერძო კომპანიას არ შეეძლება. საპილოტე ვადის დასრულების შემდეგ კი ამ რეჟიმში კომპანიის შემოწმების შესაძლებლობა ნებისმიერ გადამხდელს სურვილსამებრ ექნება“.** ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ინიციატივა რეალურად მომავალი წლიდან ამოქმედდება. თუმცა იმის ილუზია, რომ დამოუკიდებელი აუდიტორი გადასახადების გადამხდელის მიმართ უფრო ლმობიერი იქნება, „ჯიგრულად“ მოექცევა, მეწარმეთათვის რეკომენდებული არ არის რადგან უკვე ცნობილია, რომ **2-3 წელიწადში ერთხელ თავად დამოუკიდებელ აუდიტორებსაც შეამოწმებენ და თუ გაირკვევა, რომ მეწარმესა და შემმოწმებელს შორის კორუფციული გარიგება არსებობდა, აუდიტორული კომპანია დაჯარიმდება, ხოლო ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება.**

უნდა ითქვას, რომ ამ ინიციატივას დადებითად შეხვდნენ მეწარმეთა წრეებში, რადგან მათსა და საგადასახადო შემოსავლების ინსპექტორებს შორის ურთიერთობებს მაინცდამაინც შეხმატკბილებული არ ეთქმის, თანაც მეტად მაღალია ურთიერთუნდობლობის ხარისხიც. ამდენად, თუ შემოწმებას ისეთი მესამე სუბიექტი ჩაატარებს, რომელსაც, ერთი მხრივ, გადასახადების გადამხდელი ენდობა, მეორე მხრივ კი, სახელმწიფო სტრუქტურა აღიარებს, ამან, შესაძლოა, მათ შორის „ომის ტომაგავკის“ ჩაფლობაში პოზიტიური როლი შეასრულოს. თუმცა ესაა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ფირმას დარღვევა არ ექნება, მას დამოუკიდებელი აუდიტისთვის გარკვეული თანხის გაცემა „ტყუილად“ მოუწევს. მაგრამ, ეს ალბათ, ბიზნესის წინასწარ გათვლილ ხარჯად უნდა ჩაითვალოს. **თანაც გასათვალისწინებელია, რომ დამოუკიდებელი აუდიტორიული შემოწმების რამდენიმე ლიცენზია იქნება — მსხვილი ფირმებისთვის, ასევე საშუალო და მცირე საწარმოთათვის, რაც მათ სხვადასხვა ფინანსურ შესაძლებლობას გაითვალისწინებს. ისე კი აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ შემმოწმებლის არჩევანის უფლების მინიჭება სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისთვის რაიმე ახალი შეღავათის მიცემას სულაც არ ნიშნავს.**

კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც მთავრობის წიაღში წარმოიშვა, **ეკონომიკურ საქმიანობაში, ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა თუ სპეციალური დანიშნულების ტექნიკაზე გახარჯული საწვავის ღირებულების მთლიანი შემოსავლიდან გამოქვითვას ეხება.** საიმისოდ, რომ კომპანიებს საშემოსავლო გადასახადის თანხა შეუმცირდეთ, მათ რამდენიმე პირობა უნდა შეასრულონ. **საწვავის ხარჯის გამოსაქვითად გადასახადის გადამხდელისთვის საწვავის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტის — სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურის ქონაა აუცილებელი. საწვავი გადასახადის გადამხდელის კუთვნილი, ან მის მიერ იჯარით აღებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე უნდა იყოს გაწერილი. გარდა ამისა, აუცილებელია თვეში ერთხელ ამ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გარბენი სპიდომეტრზე იყოს აღნუსხული.** აქამდე შემოსავლების სამსახური ხშირად ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ საწვავი ნამდვილად ეკონომიკური საქმიანობისთვის იყო გამოყენებული, საწვავის ხარჯს ასევე არ ითვალისწინებდნენ ბუღალტრული აღრიცხვის დროს. ახალი ინიციატივით შემოღებულია საწვავის ჩამოწერის პროცედურა, რომლის გამოყენება ნებისმიერ, მსხვილ თუ მცირე მეწარმეს შეუძლია.

ახლა საქმე იმაზეა, რომ ეს ახალი, პირდაპირ უნდა ითქვას, დადებითი ინიციატივები ბიუროკრატიული ბარიერებით და ფორმალური მიდგომებით არ ჩაახშონ, როგორც ეს უკვე არაერთხელ მომხდარა.

**ოთარ ტურაბელიძე**

BANK OF GEORGIA

## სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

სს „საქართველოს ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) აქციონერთა მორიგი საერთო კრების ჩატარება განსაზღვრულია 2011 წლის 15 ივნისს, 15:00 საათზე. ბანკის აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. ბანკის 2010 წლის აუდიტირებული შედეგების დამტკიცების შესახებ;
2. დირექტორატის ანგარიში ბანკის 2010 წლის საქმიანობისა და ბანკის მომავალი გეგმებისა და სტრატეგიის შესახებ;
3. მოგების განაწილების (დივიდენდების გადახდის) შესახებ;
4. დივიდენდების სააღრიცხვო თარიღის დადგენის შესახებ;
5. დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღის დადგენის შესახებ.

2011 წლის 15 ივნისის აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგთან დაკავშირებით, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი აქციონერებს წარუდგენენ შემდეგი სახის რეკომენდაციებს:

**დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:**

1. დამტკიცდეს „ერნსტ ენდ იანგის“ მიერ აუდიტირებული ბანკის 2010 წლის ფინანსური შედეგები.

**დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:**

1. დამტკიცდეს დირექტორატის ანგარიში ბანკის 2010 წლის საქმიანობის შესახებ;
2. ცნობად იქნას მიღებული დირექტორატის ანგარიში ბანკის მომავალი გეგმებისა და სტრატეგიის შესახებ.

**დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:**

1. დამტკიცდეს ბანკის დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი წინადადება 2010 წლის შედეგების მიხედვით მოგების განაწილების შესახებ და ბანკის 2010 წლის მოგების ნაწილი მიმართულ იქნას დივიდენდების გასაცემად – ერთ აქციაზე 0.30 ლარის ოდენობით.

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:**

1. დივიდენდების სააღრიცხვო თარიღად განისაზღვროს 2011 წლის 1 ივლისი 18.00 სთ-ის მდგომარეობით (თანახმად ბანკის წესდების 5.2.1 პუნქტისა).

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით:**

1. დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღად განისაზღვროს 2011 წლის 18 ივლისი (თანახმად ბანკის წესდების 5.2.2 პუნქტისა).

**შენიშვნა:** ბანკის გლობალური დეპოზიტარული ხელწერილების მფლობელებზე დივიდენდების გაცემა მოხდება დეპოზიტის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

**ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრება გაიმართება სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი”-ს საკონფერენციო დარბაზ „ოდიში” შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0103, თელავის ქ. №20.**

**აქციონერთა რეგისტრაცია დაიწყება 2011 წლის 15 ივნისს, 14:00 საათზე.**

**აქციონერთა სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2011 წლის 10 მაისი.**

**აქციონერთა საერთო წლიურ კრებაში მონაწილეობის უფლება შეიძლება გადამოწმებულ იქნას 2011 წლის 3 ივნისიდან სს „საქართველოს ბანკის“ აქციების რეგისტრატორთან – სს „კავკასრეესტრი“ შემდეგ მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი №74ა, თბილისი, საქართველო.**

◎ სულიერება

# წმინდა ნინოს ეკლესია ამერიკაში



22 მაისს სთეითენ აილენდზე (ნიუ-იორკის შტატი) წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია გაიხსნა. მისი წინამძღვარია დეკანოზი ალექსანდრე თანდილაშვილი. ამერიკაში მყოფი ქართველები ქართული ეკლესიისთვის შენობის შესაძენად უკვე 8 წელზე მეტია ფულს აგროვებენ. შენობის შეძენაში ასევე დიდი ფინანსური შემწეობა აშშ-ში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა გურამ შალუტაშვილმაც გაიღო. ქართველმა მოხალისეებმა შენობა დაასუფთავეს, გაარემონტეს და მოაწყვეს. სპეციალურად ამ დღისთვის ეკლესიის საკურთხევლად საქართველოდან ჩამოვიდნენ მიტროპოლიტი დიმიტრი და ეპისკოპოსი მელქისედეკი. ჩამოვიდნენ ასევე სხვა შტატებში მოქმედი ქართული ეკლესიების წარმომადგენლები, მათ შორის სან-ფრანცისკოში მოქმედი ქართული ეკლესიის წინამძღვარი ბერ-მონაზონი იოანე კავსაძე, ჩიკაგოდან — მამა მატათა. გახსნას დაესწრო ამერიკაში მოქმედი ქართული დიპლომატიური კორპუსი. გახსნის შემდეგ გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი, რომლისგანაც მიღებული შემოსავალი წმინდა ნინოს ეკლესიას გადაეცა.

**ია მერკვილაძე,**
ნიუ-იორკი, აშშ

◎ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

# გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიების რაოდენობა გაიზარდა

**აკადემიურმა საბჭომ ბოლო სხდომაზე მოისმინა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის გამოსვლა წლეულს იმ საკადემიო პრემიების მინიჭების თაობაზე, რომლებიც გამოჩენილ მეცნიერთა სახელებთანაა დაკავშირებული.**

მიმდინარე 2011 წელს აკადემია გამოაცხადებს კონკურსს ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ივანე ბერიტაშვილისა და სერგი დურმიშიძის სახელობის პრემიებთან ერთად იმ პრემიების მისანიჭებლად, რომლებიც ჯერ არ გაცემულა: ლეონიდე დეკაპრელევიჩის სახელობისა [redacted]

საგულისხმოა, რომ აკადემიური საბჭოს დადგენილებით ინფორმაცია კონკურსის შესახებ გამოქვეყნდება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, ხოლო საკონკურსო მასალები განთავსდება აკადემიის ვებგვერდზე.

აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის წინადადებითვე, გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიების ნუსხას დაემატა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შოთა მესხიას სახელობის პრემია (საქართველოს ისტორიის დარგში).

**ცნობისთვის: ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის** [redacted]

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქ[redacted]!

სურსათის უვნებლობა

**უკვე დიდი ხანია, რაც გენმოდიფიცირებულმა პროდუქტებმა ქართული ბაზარი დაიპყრო. მომხმარებელს, რომელსაც ჰგონია, რომ ნატურალურ პროდუქტს ყიდულობს, ხშირად გენური ინჟინერიის ხერხით დამზადებული საკვები პროდუქტები რჩება ხელში. ქართველი მომხმარებელი გენმოდიფიცირებული მცენარეების მომრავლებამ დააბნია, რადგან მსგავსი ხერხით მიღებული პროდუქტები არაჯანსაღ საკვებად მიაჩნიათ.**

რა არის გენმოდიფიცირებული კულტურები და უსაფრთხოა თუ არა იგი ადამიანის ჯანმრთელობისთვის? ამ კითხვებზე პასუხი დღემდე ორაზრო-

# გენმოდიფიცირებული კულტურების ორმაგი სახე

ვანია, მეცნიერების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ უსაფრთხოა, ნაწილი კი მის უარყოფით მხარეებზე საუბრობს.

გენური ინჟინერია, როგორც მეცნიერება, 70-იან წლებიდან განვითარდა და უკვე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშია შემოჭრილი: საკვები, რომელსაც მივირთმევთ, წამალი, რომლითაც ვმკურნალობთ, ტანსაცმელიც კი — რაც გვაცვია, შესაძლოა ამ ტექნოლოგიის გამოყენებით იყოს მიღებული.

გენმოდიფიცირებული კულტურები მიიღება გენური ინჟინერიის გზით, ასეთ მცენარეებში ჩანერგილია უცხო გენი, რომელიც მოცემულ მცენარეთა სახეობებს ჩვეულებრივ არ გააჩნიათ. მცენარის უჯრედებში უცხო გენის ჩანერგვა „გენის თოფით", ან მცენარეული უჯრედის ბაქტერიით ინფიცირების საშუალებით ხდება. ამ მეთოდით თევზის გენის პომიდორში ჩანერგვა, ღორის გენისა კი კარტოფილშია შესაძლებელი, ანუ გენური ინიჟინერიით ამა თუ იმ მცენარისთვის ისეთი თვისების მინიჭება შესაძლებელია, რაც ბუნებრივად არ გააჩნია.

გენმოფიცირებული პროდუქტები მრავალნაირია — გარკვეული ვაქცინები, წამლები, საკვები დანამატები და მრავალი გადამუშავებული თუ დაკონსერვებული საკვები პროდუქტი შეიცავს არაცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველ კომპონენტებს. ასეთი კომპონენტები კი შეიძლება ისეთ საკვებ პროდუქტებში შეგვხვდეს, როგორიცაა იოგურტი, ძეხვი, შოკოლადი და სხვა. გაგიკვირდებათ და ლუდსახარშებში და პურის საცხობებშიც ხშირად გენმოდიფიცირებულ საფუარს იყენებენ.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ გენური ინჟინერიისა და ბუნებრივ კულტურებში უცხო გენის გადატანის გამო გენმოდიფიცირებულმა მცენარემ თავის უჯრედებში შეიძლება დაიწყოს ახალი პროდუქტების გამომუშავება, რომელიც შესაძლოა შხამიანი იყოს და სხვადასხვა სახის ალერგია გამოიწვიოს ან დაარღვიოს იმუნური სისტემა.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სასურსათო ბაზარი შესაბამისი ზემდგომი ორგანოებით არ კონტროლდება, ბაზარი აჭრელებულია იმპორტირებული მრავალნაირი საკვები პროდუქტებით, ექსპერტები მოსახლეობას ურჩევენ, რომ არ შეიძინონ ისეთი იმპორტირებული საკვები პროდუქტები, რომლის შემცველობაშიც შედის სოიო, სიმინდი, კარტოფილი ან პომიდორი, რადგან მსოფლიოში ეს ოთხი გენმოდიფიცრებული მცენარეა გავრცელებული. კომპანიათა უმრავლესობა ინფორმაციას არ იძლევა იმის შესახებ, ესა თუ ის საკვები პროდუქტი შეიცავს თუ არა გენმოდიფიცირებულ ინგრედიენტებს. თანაც საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, მათ არც მოეთხოვებათ ასეთი ინფორმაციის საჯაროდ წარდგენა.

ეს რაც შეეხებოდა გენმოდიფიცირებული კულტურების უარყოფით თვისებებს, თუმცა მას ბევრი დადებითი თვისებებიც აქვს, რაზეც აგროტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფესორი **ცოტნე სამადაშვილი** გვესაუბრა: „მოსახლეობის ზრდამ და მსოფლიოში გაძლიერებულმა ურბანიზაციამ აუცილებელი გახადა მოსავლიანობის მკვეთრი ზრდა. მაგალითად, ხორბლის მოსავლიანობა 2020 წლამდე ორნახევარჯერ უნდა გაიზარდოს. ხორბლის კულტურას კი მისი გენეტიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ეს არ შეუძლია, ამიტომ ადამიანებმა მოახერხეს სხვადასხვა კულტურიდან გადაეტანათ და ერთ კულტურაში მოექციათ დადებითი ნიშან-თვისებები, რაც საშუალებას მისცემს ხორბალს, რომ ქვეყნის მოსავლიანობა ორნახევარჯერ გაზარდოს. თანამედროვე სელექცია ძირითადად მუშაობს გენმოდიფიცირებული აღდგენებით ახალი კულტურების მიღებაზე, სადაც მონათესავე კულტურების დადებითი ნიშან-თვისებები იქნება შეტანილი. აი ეს არის გენმოფიდიცირებული თანამედროვე კულტურები.

გენეტიკურ ინჟინერიაში მუშაობენ სხვადასხვა მიმართულებით, ერთ-ერთი არის უჯრედული ინჟინერია, სადაც მეცნიერები ცდილობენ მცენარეული და ცხოველური უჯრედების გაერთიანებას. მათი მიზანია ცხოველურ უჯრედებს შესძინონ ალტოტროპულობა (ალტოტროპები, ანუ მცენარეებიძ და არა მცენარისა და ცხოველის უჯრედებში მოახდინონ ჩვეულებრივი სინთეზი, ან მცენარისა და ცხოველის უჯრედში შეიტანონ ცხოველის თვისებები. ამ დონეზე ამ ნაბიჯის გადადგა მართებულია. თუმცა რა მოხდება მომავალში, ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. იქიდან გამომდინარე, რომ 2050 წლამდე მოსახლეობა დაახლოებით 10 მილიარდამდე უნდა გაიზარდოს, ამდენი ადამიანის დაკმაყოფილება თანამედროვე რესურსით შეუძლებელია. ამიტომ გენური ინჟინერიის განვითარება ამ კუთხით მისასალმებელია და ამასთანავე, ძალიან დიდი მიღწევაცაა.

მსოფლიოში გავრცელებულია სიმინდის, სოიოს და ბამბის გენმოდიფიცირებული კულტურები, თუმცა თუ სხვა კულტურების გენური ინჟინერიით ტრანსგენების ჩანერგვით მივიღებთ ახალ გენმოდიფიცირებულ კულტურებს, ამაში საშიში არაფერია. ასეთი გზით მიღებული მცენარეების საკვებ პროდუქტებად გამოყენება ჯანმრთელობისთვის საზიანო არ არის.

გენმოდიფიცირებულ კულტურებს აქვს სხვადასხვა მახასიათებლები, მაგალითად, სიმინდში იმიტომ შეჰყავთ უცხო გენი, რომ მაღალმოსავლიანი იყოს, დაავადებების მიმართ კი გამძლე. კარტოფილში არის ისეთი გენები, რომლებიც კოლორადოს ხოჭოსგან იცავს მას. სოიოს — მაღალცილიანობისა და ცხიმიანობის ადვილადმოსანელებელ ნივთიერებებს უმატებენ. მცენარეებში შესაბამისი გენის ჩანერგვა ჩალპობისადმი გამძლეობას, მოსავლიანობის ხარისხის ამაღლებას, პროდუქტიულობის გაზრდას, ნაყოფიერების სიმსხოს, ფორმის, ფოთლების მოცულობის გაზრდას და სხვა მრავალ დადებით თვისებებს მატებენ მას.

**თინათინ ბორცვაძე**




რეიტინგი

# რამდენს ვცოცხლობთ?

**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (მჯო) სხვადასხვა ქვეყანაში სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე მორიგი მოხსენება გამოაქვეყნა. უზარმაზარი სტატისტიკური მასალის დამუშავებისთვის საჭირო დროის გათვალისწინებით, მაჩვენებლები მოყვანილია 2009 წლის მონაცემების მიხედვით.**

მოსახლეობის ხანგრძლივობის მხრივ რეიტინგის ლიდერები არიან **იაპონია** და **სან-მარინო,** სადაც ეს მაჩვენებელი 83 წელს უდრის. შემდეგ მათ მცირედი ჩამორჩენით მოყვება ქვეყნების 9-წევრიანი ჯგუფი, კერძოდ, **ანდორა, ავსტრალია, ისლანდია, ისრაელი, იტალია, მონაკო, სინგაპური, ესპანეთი** და **შვეიცარია,** სადაც ხალხი საშუალოდ **82 წელს** ცოცხლობს, ხოლო ამ დიდ ჯგუფს, ასევე მცირედი ჩამორჩენით, მჭიდროდ ეკვრიან **კანადა, კვიპროსი,** და **საფრანგეთი** — ამ ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობა **81 წელია.**

თვალში საცემია, რომ თოთხმეტივე ჩამოთვლილ ქვეყანაში ცხოვრების მაღალი დონეა, რაც, უწინარესად, მაღალორგანიზებულ სამედიცინო უზრუნველყოფას და ეფექტიან სადაზღვევო სისტემას, ასევე ნორმალურ საცხოვრებელ პირობებსა და სრულფასოვან კვებას გულისხმობს.

ამ მხრივ ჩვენთვის გაცილებით საინტერესოა, თუ რა მდგომარეობაა პოსტსაბჭოთა სივრცეში. აღმოჩნდა, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის საუკეთესო მაჩვენებელი ყოფილ საბჭოურ რესპუბლიკებს შორისაა **ესტონეთში — 75 წელი.** იმით, რომ ბალტიისპირეთში მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ცხოვრების მაღალი დონე ადრეც იყო და ახლაც არის, ისიც მოწმობს, რომ ამ მაჩვენებლით მეზობელს ლიტვა და ლატვია მოსდევენ, სადაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შესაბამისად, **71 და 72 წელია.** მიუხედავად იმისა, რომ **საქართველოში** ბალტიისპირეთის ქვეყნების შესადარი არც სოციალურ-ეკონომიკური, არც პოლიტიკური, არც სამხედრო მდგომარეობაა, ამ სიაში **ჩვენ მეოთხე პოზიციაზე ვართ 71 წლით,** თუმცა იმავე საბჭოურ დროში უწინ პირველობას არავის ვუთმობდით. შემდეგ ადგილებზე არიან **ბელარუსი (70 წელი), სომხეთი (70 წელი), მოლდოვა და უზბეკეთი (69-69 წელი), რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი (68-68 წელი), ყირგიზეთი (66 წელი), ყაზახეთი (64 წელი) და ბოლოს თურქმენეთი (63 წელი).**



რაც შეეხება ამ ერთობ საგულისხმო ნუსხის მსოფლიო აუტსაიდერებს, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ძალიან დაბალია **კონგოში, სიერა-ლეონეში, მოზამბიკში, ზიმბაბვესა და გვინეა-ბისუაში (49 წელი), ცენტრალურ-აფრიკის რესპუბლიკაში, ჩადში, ავღანეთში, ლესოტოსა და ზამბიაში (48 წელი), ხოლო სიის ჩამკეტია მალავი, სადაც ხალხი საშუალოდ მხოლოდ 47 წელს ცოცხლობს.**

**ოთარ ტურაბელიძე**

ახალი პრეპარატი

# „ისმიჟენი" - სასუნთქი გზების სამკურნალოდ

**ფარმაცევტული კომპანია „ჯი-ემ-პის" მხარდაჭერით სასტუმრო „რედისონში" სიმპოზიუმი გაიმართა. თემა გახლდა „ბაქტერიული ლიზიტების" როლი ქრონიკული დაავადებების პრევენციაში".**

საღამო „ჯი-ემ-პის" გენერალურმა დირექტორმა **გიორგი ანთაძემ** გახსნა, რომელმაც ისაუბრა კომპანიის მიღწევებზე.

„ფარმაცევტულმა საწარმო „ჯი-ემ-პიმ" შვეიცარიული კომპანია „ლალემან-ფარმასგან" მიიღო ლიცენზია არამხოლოდ საქართველოში, არამედ საქართველოს გარდა კიდევ 11 ქვეყანაში. პრეპარატის წარმოებისთვის, ეს დიდი მიღწევა და აღიარებაა ქართული კომპანიისთვის. „ლალემან-ფარმას" პარტნიორები არიან ცნობილი და აღიარებული ევროპული კომპანიები — შვეიცარიელების მიერ „ჯი-ემ-პიზე" ლიცენზიის გაცემის ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ფარმაცევტული კომპანია „ჯი-ემ-პი" აღიარებულია არამხოლოდ საქართველოში, არამედ მას სცნობენ ევროპაშიც, როგორც ღირსეულ პარტნიორს.

საღამოს შვეიცარიული კომპანიის „ლალემან ფარმას" წარმომადგენელი მაქსენს დე ვილმერი ესწრებოდა. მან ისაუბრა თემაზე, როგორიცაა სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადება.

საგულისხმოა, რომ ამ დაავადების სამკურნალოდ ახალი პრეპარატი „ისმიჟენი" შექმნეს, რომელსაც უკუჩვენებები არ გააჩნია და მისი მოხმარების წესი მარტივია. პრეპარატი უკვე რეგისტრირებულია საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში და იგი ახლო მომავალში ექსპორტშიც გავა. „ისმიჟენი" გამოიყენება როგორც ბავშვთა, ისე მოზრდილ ასაკში. იგი უშუალოდ სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადების დროს გამოიყენება. მიღების კურსი სამთვიანია. მან უკვე მრავალ ქვეყანაში მოიპოვა აღიარება.

**ირინა ოზოლაშვილი**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# ტრაგიკული ბედი უცნობი ქალისა

**ტრეტიაკოვის გალერეაში სტუდენტობიდან მახსოვს გამოჩენილი რუსი მხატვრის ივან კრამსკოის 1883 წელს შექმნილი ტილო „უცნობი ქალი“. ადრე, მოსკოვში ყოველ ჩასვლისას, აუცილებლად მივდიოდი ტრეტიაკოვკაში.**

ეტლში მჯდომი, ახალგაზრდა, მშვენიერი ქალბატონი სირაქლემას ბუმბულით დამშვენებული ქუდითა და მონა ლიზასავით იდუმალი მზერით, რომელშიც ერთდროულად იკითხება არისტოკრატიული სიამაყეცა და გულში ღრმად ჩამარხული ნაღველიც...

თვალებდახრილი, თითქოს ქედმაღლურად გადმოგვყურებს, მაგრამ იმავდროულად თითქოს შველასაც გთხოვს. და გრძნობ – ეს უმწეო, ტრაგიკული პიროვნებაა. მისი ფაქიზი, ელვარე სილამაზე, დიდებულება, გრაციოზულობა და ერთგვარი განდგომილება ვერ ფარავს დაუცველობის გრძნობას იმ სამყაროს წინაშე, რომელსაც ის ეკუთვნის, რომელზეც არის დამოკიდებული. ამ გრძნობას აძლიერებს ზამთრის პეტერბურგის ყინვიანი დილის პეიზაჟი.

ქალი უკვე გადაცილებულია სიყმაწვილის ასაკს, მაგრამ დრო-ჟამს ჯერ ვერ დაუზრია მისი ნატიფი ნაკვთები, რომლებშიც რაღაც ახლობლურს, ქართულს ვლანდავ.

მაინც ვინ იყო ქალი, რომელიც მხატვრის ფუნჯმა ასე ცოცხლად შემოუნახა შთამომავლობას? კრამსკოიმ იგი პირველად 1883 წელს წარმოადგინა სანკტ-პეტერბურგში, „პერედვიჟნიკთა“ გამოფენაზე და უმალ მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, ათასგვარი ლეგენდა წარმოშვა.

იყვნენ კრიტიკოსები, რომლებიც ამ ქალს რატომღაც საზოგადოების მორალური ხრწნის მხილებად, დიდი ქალაქების ცოდვილ ნაშიერად აღიქვამდნენ. ზოგი მასში ლ.ტოლსტოის ანა კარენინას ხედავდა (ანუ, თავისი მაღალი სოციალური მდგომარეობიდან ძირს დაშვებულ ქალს), ზოგიც – ფ.დოსტოევსკის ნასტასია ფილიპოვნას (ანუ, დაცემული ქალის ფეხზე წამოდგომას).

XX საუკუნის დასაწყისში „უცნობის“ სკანდალურობა რომანტიულ-იდუმალი აურით გადაიფარა. 1906 წლის აპრილში დიდმა პოეტმა ალექსანდრ ბლოკმა მშვენიერი ლექსი უძღვნა კრამსკოის ამ ნახატს.

საბჭოთა პერიოდში „უცნობი ქალი“ იქცა არისტოკრატიზმისა და მაღალი წრისთვის დამახასიათებელი დახვეწილობის ნიმუშად, თითქმის რუსულ სიქსტის მადონად – მიწიერი სილამაზისა და სულიერების იდეალად იქცა.

მაგრამ, რაც მთავარია, ბოლოს და ბოლოს, მკვლევარებმა მიაკვლიეს „უცნობის“ ვინაობას. ძველი, XIX საუკუნის დასაწყისის მედალიონზე აღბეჭდილი ქალისა და „უცნობის“ სკრუპულოზური შეჯერებით უტყუარად დაადგინეს, რომ კრამსკოის „უცნობი ქალი“ არის თავადის ასული ვარვარა ილინიშნა ტურკესტანოვა, რუსეთში XVIII საუკუნეში დასახლებულ ქართველ თავად თურქესტანიშვილების შთამომავალი.

სანამ ამ ქალის ტრაგიკულ ბედზე ვუამბობდე მკითხველს, თავს ნებას მივცემ ამ საგვარეულოზე ვუთხრა ორიოდ სიტყვა.

ტურკესტანოვები (რუსეთში XIX საუკუნის შუახანებამდე ტურკისტანოვები, საქართველოში – თურქისტანიშვილები, შემდეგ – თურქესტანიშვილები) – თავადთა და აზნაურთა გვარია. იოანე ბატონიშვილი თავის თხზულებაში, რომელიც ფეოდალურ საგვარეულოებს ეხება, წერს, რომ აზნაურ თურქესტანიშვილის წინაპრები თურქეთიდან მოვიდნენ და დასახლდნენ სომხითში (ქართლის სამხრეთ ნაწილში, სომხეთის მეზობლად) და მიიღეს წოდება მეორე ხარისხის აზნაურისა. მათი წინაპრები მსახურობდნენ თამარ მეფის დროს ქრისტესშობიდან 1202 წელს და იმ დროიდან ამ ჟამამდე პირველილ აზნაურები არიან სომხითშიო.

თურქესტანიშვილის გვარი დოკუმენტურად ცნობილია სამხრეთ საქართველოში უკვე XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისიდან. მათი საგვარეულო სამფლობელო მუხათი თავად ბარათაშვილებისა და სოლოღაშვილების (ბარათაშვილთა გვარის შტოს) მამულებს ესაზღვრებოდა. მრავალგზის მოიხსენებიან ქართლში XVII საუკუნეში. მათ ახალ ყმებს ურიგებენ მეფენი სიმონ II, როსტომ-ხანი, ვახტანგ V შაჰნავაზი...

თურქესტანიშვილებსახსენებს ვახუშტიც. ისინი უცვლელად ემსახურებოდნენ ბაგრატიონთა მუხრანის შტოს. XVII საუკუნის ბოლო და XVIII საუკუნის დასაწყისი თურქესტანიშვილების აღზევების პერიოდია. დიდი გავლენა ჰქონდათ მეფეების არჩილისა და ვახტანგ VI კარზე.


„უცნობი ქალი“

1724 წელს თავადობა ებოძათ. ბოლომდე უერთგულეს რა ქართლის (მუხრანის) სამეფო სახლს, ამ გვარის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები ვახტანგს გაჰყვნენ რუსეთში.

რუსეთის იმპერიამ თავადის წოდება დაუმტკიცა მხოლოდ თავად ბორის (ბაადურ) ბაგრატის ძე ტურკესტანოვს და მის შთამომავლობას. ბაადურ-ბორისი თავად ტურკესტანოვების რუსული შტოს მესაძირკვლეა. ბორისმა შემდეგ პოლკოვნიკობა მიიღო. მსახურობდა დედოფალ დარია (დარეჯანი) არჩილის ასულ ბაგრატიონის მოსკოვის სახლში და თვალსაჩინო როლი შეასრულა იმპერატორ პეტრე პირველისა და ვახტანგ VI-ის მოლაპარაკებებში 1722-1724 წლებში. ცოლად ჰყავდა ნინო მაჭავარიანი.


ვ.ტურკესტანოვა მედალიონზე

აი, სწორედ ამ ბაადურის (ბორისის) და ნინოს შვილიშვილი გახლდათ ვარვარა (ბარბარე) ტურკესტანოვა. ვარვარას მამა ილია ბორისის ძე არმიიდან თადარიგში სეკუნდ-მაიორის ჩინით გავიდა. შემდეგ წარმატებით მსახურობდა სამოქალაქო თანამდებობებზე, მაგრამ მამის ფეხა ვერ გამოიჩინა. დაქორწინებული იყო მარია ეროპკინაზე. დაკრძალულია მოსკოვში დონის მონასტერში. სხვათა შორის, მისი მოსკოვის სახლ-კარი იმ ადგილზე იყო, სადაც ახლა დიდი თეატრია.

ვარვარა-ბარბარე 1775 წლის 26 დეკემბერს დაიბადა მოსკოვში. ყმაწვილქალობიდან გამოირჩეოდა სილამაზითა და არისტოკრატიული მანერებით. ამიტომ გამოარჩიეს და 1808 წელს იმპერატორ ალექსანდრ I-ის დედის იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნას ფრეილინა გახდა. გამუდმებით სასახლეში იმყოფებოდა, იმპერატორის დედის გამორჩეული ნდობითა და კეთილგანწყობით სარგებლობდა. გამოირჩეოდა გონიერებითა და ლიტერატურული საქმიანობისადმი მიდრეკილებითაც. კარგად იყო ცნობილი პეტერბურგის ლიტერატურულ წრეებში.

გათხოვილი არ ყოფილა. 1816 წელს ის გულში ჩაუვარდა იმპერატორ ალექსანდრ პირველს. როგორც ირკვევა არც ქალი იყო გულგრილი. „ეს კაცი ხელმწიფე რომ არ იყოს – წერდა ვარვარა ერთ-ერთ მეგობარს – ვინატრებდი, რომ მოვწონებოდი, რადგან მე უსაზღვროდ მომწონს“. იმპერატორი ისე მოიხიბლა კნიაჟნა ვარვარათი, რომ გამუდმებით მის საზოგადოებას ეძებდა, ყურადღებას არ აკლებდა. ერთხელ ფაიფურის მინიატურა გაუგზავნა თავისი პორტრეტით, რასაც ფრანგული მინაწერი ახლდა: „ის, ვისაც თქვენ ირჩევთ, მისგან ვინც თქვენ გირჩევთ“.

საერთოდ ალექსანდრეს სჩვეოდა სეფექალებით გატაცება. მთელი 15 წელი მას პრაქტიკულად მეორე ოჯახი ჰყავდა – მარია ნარიშკინასთან (ქალიშვილობაში ჩეტვერტინსკაია), რომელმაც სამი შვილი – ორი გოგო და ერთი ბიჭი გაუჩინა მეფეს. და ეს არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, მათ შორის დედოფალ ელიზავეტა ალექსეევნასთვის.

ვარვარასთან რომანი ჯერ (1817 წლამდე) პლატონური, თითქმის პასტორალური, კნიაჟნასთვის ტრაგიკულად დამთავრდა. „მე არა მხოლოდ უკმაყოფილო ვარ იმით, რომ მწყალობენ, – წერდა ის, – არამედ გული მტკივა ამის გამო. მეორე მხრივ, დავტოვო სასახლე და წავიდე – სად? გაურკვეველია, ვაი რომ, ბედი არ მწყალობს“...

მას არ სურდა ოფიციალური ფავორიტის, ანუ აღიარებული საყვარლის როლი. საკმაო წარმატებით უმალავდა ამ ურთიერთობას სამეფო კარსა და იმპერატორის ოჯახს (თუმცა ხმებმა ამის შესახებ მაინც მიაღწია მოსკოვამდე, სადაც ბოროტმა ენებმა რატომღაც სწორედ ის გამოაცხადეს „კალვინისტთა სექტის იარაღად, რომელიც ალექსანდრ I-ს მისტიციზმისკენ მიდრეკილებას უღვივებდა“). ყოველ შემთხვევაში ორივე იმპერატრიცა – დედაც და მეუღლეც, როგორც ჩანს, სეფექალის სიკვდილამდე, არ ეჭვობდა ხელმწიფესთან მისი ურთიერთობის შესახებ.

1818 წლის შემოდგომაზე ვარვარა დედა იმპერატრიცას ევროპაში მოგზაურობაში ახლდა. დედოფალმა რიგრიგობით მოინახულა თავისი ქალიშვილები – ვაიმარის ჰერცოგინია, ვიუტემბერგის და ორანის პრინცესები. რუსეთის იმპერატრიცასა და მის ამალას ყველგან დიდებულ შეხვედრას უწყობდნენ. კნიაჟნა ვარვარა სამგზავრო დღიურებს წერდა (რომელიც შემდეგში გამოქვეყნდა). „ჩვენ ვმოგზაურობთ როგორც ბაბილონის მეფეები, – წერდა მეგობრებს – მე კი ყველაფერი საშინლად მომბეზრდა“. უკვე ამ მოგზაურობის დასაწყისში, პრუსიაში, კნიაჟნამ პრველი უქეიფობა იგრძნო. ექიმებმა უთხრეს, რომ ფეხმძიმედ იყო. მთელ თავის თავდაჭერილობას მოუხმო და რუსეთში დაბრუნებამდე შეძლო საიდუმლოს შენახვა.


იმპერატორი ალექსანდრ I

პეტერბურგში მალულად იმშობიარა და ქალიშვილი გააჩინა, რომელსაც მარია დაარქვეს. იმავდროულად საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო: საწამლავი დალია და რამდენიმე დღის შემდეგ (1819 წლის 20 მაისს) გარდაიცვალა. სიკვდილის წინ აღსარება თქვა და ეზიარა.

ოფიციალური ვერსიით „კნიაჟნა ტურკესტანოვა გარდაიცვალა ქოლერის შედეგად, რომლითაც სამი კვირის წინათ დაავადდა“ (ასე სწერდა 1819 წ. 22 მაისს ალექსანდრე I-ის მეუღლე იმპერატრიცა ელიზავეტა ალექსეევნა ბადენის მარკგრაფინიას).

ვარვარას ახალდაბადებული ქალიშვილი აღსაზრდელად წაიყვანა თავადმა ვლადიმირ გოლიცინმა (მასთან ვარვარას ახლო, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა). ამ კარისკაცმა ყველაფერი იღონა, რათა ჭორები აერიდებინა ტრაგედიის ჭეშმარიტი დამნაშავისთვის.

მარია (მიტიძ შემდეგ ცოლად გაჰყვა აზნაურ ივან ნელიდოვს. გარდაიცვალა ახალგაზრდა (როგორც ალექსანდრე I-ის ყველა სხვა შვილი.) – 24 წლისა, 1843 წლის დეკემბერში. ზოგიერთი მონაცემებით მიტის დარჩა გოგონა, რომელიც ძალიან ჰგავდა იმპერატორს, თავის ბაბუას.

ვარვარას სახელი შემდეგში საგვარეულოში ნავსად ითვლებოდა (ისე როგორც ბაბუამის ბორისისა, ყველა ტურკესტანოვი, რომელმაც გვარის ფუძემდებლის სახელი ერქვა, ადრე კვდებოდა).

ვ.ტურკესტანოვა დაკრძალულია პეტერბურგის ალექსანდრო-ნევსკის ლავრაში. მოკრძალებული, დროთა ვითარებაში დაზიანებული საფლავის ქვა 1970 წელს აღადგინეს. „რუსსკი არხივში“ გამოქვეყნებულია მისი მრავალწლიანი მიმოწერა რუსეთში მცხოვრებ ფრანგ როიალისტთან ვ.კრისტინთან და მოკლე ბიოგრაფიაა.

ბორის (ბაადურ) ტურკესტანოვის (თურქესტანიშვილის) ვაჟის ილიას შტო უშვილძიროდ გადაეგო. გაუთხოვრად წავიდნენ იმქვეყნად ვარვარას დები ეკატერინე და სოფია, ყმაწვილობაში გარდაიცვალა ძმა ალექსანდრე...

დაბოლოს, ერთიც. ალექსანდრ I ტახტზე ასვლამდე კარგა ხნით ადრე დაქორწინდა ლუიზა მარია ავგუსტა ბადენ-დურლაჰზე (მართლმადიდებლად მონათვლისას ელიზავეტა ალექსეევნად იწოდა). უფლისწული და მისი ნორჩი მეუღლე ლამაზი წყვილი იყვნენ, „ფსიქეა და ამურიო“, მათზე ამბობდნენ. მაგრამ სიყვარული დიდხანს არ გაგრძელდა. ალექსანდრე ფრეილინა ნარიშკინამ გაიტაცა. ელიზავეტა ალექსეევნას რომანებზეც დაირხა ხმა. ამბობდნენ, პირველი ქალიშვილი მეუღლისგან კი არა, ცნობილ არისტოკრატ ადამ ჩარტორისკისგან ჰყავდაო. თვით იმპერატორი პავლე, შვილიშვილის დანახვაზე თურმე სახტად დარჩა: ორივე მშობელი ქერაა, ბავშვი კი შავთმიანიო (ჩარტორისკი სწორედ შავთმიანი იყო). თუმცა ეს ხმები და ჭორებია. მაგრამ იმპერატრიცას ერთი რომანი 1805-1806-იან წლებში კავალერგარდ ალექსეი ოხოტნიკოვთან, დოკუმენტურად დადასტურებულია. 1806 წ. მათ ქალიშვილი შეეძინათ, მაგრამ მის დაბადებამდე ერთი თვით ადრე უიღბლო მამა ხანჯლით მოკლეს. ახალდაბადებული გოგონა ალექსანდრემ შვილად აღიარა, მაგრამ ბავშვი ერთ წელიწადში გარდაიცვალა.

ერთი კია, ყველაფრის მიუხედავად ალექსანდრე და ელიზავეტა ბოლომდე ერთმანეთის მოყვარულ მეგობრებად დარჩნენ. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ მისმა ცოლმა მხოლოდ 6 თვე იცოცხლა.

ალეკო ასლანიშვილი


იმპერატრიცა ელიზავეტა ალექსეევნა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსული სიმართლე „საქართველოს რევოლუციაზე“

**დრამატური სცენარი და დეზინფორმაცია რუსულად: რუსეთის გამოცემები, საინფორმაციო სააგენტოები და ტელეარხები დიდ ყურადღებას უთმობენ „სახალხო კრების“ აქციებს.**

რუსი ჟურნალისტები ავრცელებენ არაზუსტ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს პოლიცია უსწორდებოდეს აქციების მონაწილეებს თბილისსა და ბათუმში ცეცხლსასროლი იარაღით. მათი სიტყვებით, წესრიგის დამცველები ესვრიან ხალხს და მკაცრად ეპყრობიან დემონსტრანტებს.

„ბუნტი თბილისში“, „რევოლუცია და სისხლისღვრა საქართველოში“, „ქაოსი და უწესრიგობანი“, – ასეთ ფორმულირებებს ყველაზე ხშირად იყენებენ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დღეს საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი მაუწყებლობის ტერიტორია რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ფრონტის ზონად მონათლეს. კრემლის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პირველ გვერდებზე გაჩნდა ახალი პუბლიკაციები, რომლებშიც საუბარია საქართველოში დაწყებული რევოლუციის შესახებ.

რუსეთის სააგენტო „ჩვენმა საუკუნემ“ თავის მკითხველებს შესთავაზა დრამატული დეზინფორმაცია იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც მიმდინარეობს თბილისში პირველი არხის შენობასთან. „რევოლუცია საქართველოში: პოლიციამ დახვრიტა უიარაღო ხალხი“, – ასე ეწოდება სტატიას, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა საიტზე.

აი მეორე სტატია იმავე თემაზე: „საქართველოს პოლიციამ დაარბია ოპოზიციის მომხრეები, რომლებიც საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან იყო შეკრებილი. ხალხს რეზინის ტყვიებს ესროდნენ. ბევრია დაპატიმრებული“.

მთელი დღის განმავლობაში რუსეთის საინფორმაციო სააგენტოები არასწორ აქცენტებს აკეთებდნენ, საუბრობდნენ ძალის გამოყენების შესახებ პოლიციის მხრიდან. რამდენიმე საინფორმაციო სააგენტომ ოპოზიციის მხრიდან მსხვერპლის შესახებაც კი აცნობა.

რუსული „კომსომოლსკაია პრავდა“ თავდაპირველად წერდა, რომ პოლიციამ დაშალა დემონსტრაცია ძალის გამოყენებით. რამდენიმე საათის შემდეგ გაჩნდა ახალი სტატია სათაურით „რევოლუცია უკვე დაიწყო“.

სტატიის ფრაგმენტი, „კომსომოლსკაია პრავდა“: საქართველოს პარლამენტის ყოფილი სპიკერი ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ რევოლუცია დაიწყო. მისი სიტყვებით, ამ ნაბიჯისკენ მას უბიძგა საქართველოს თავად ამჟამინდელმა ხელისუფლებამ“.

კრემლის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აქციას, რომელიც ბათუმში გაიმართა. ისინი იტყობინებიან, რომ დემონსტრანტების ნაწილი დაკავებულია, პოლიციამ ცეცხლი გაუხსნა მიტინგის მონაწილეებს. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მთელი ღამის განმავლობაში ავრცელებდნენ დაწვრილებით ინფორმაციას. მათი სიტყვებით, დემონსტრანტების დარბევის შედეგად 9 კაცი კრიტიკულ მდგომარეობაშია საქართველოს ქალაქის კლინიკებში.

„ოპოზიციის ათობით აქტივისტი დაკავებულია“, – წერს „ლენტა.რუ“. ამგვარი შინაარსის სათაურებით აჭრელებულია გამოცემების მთავარი გვერდები: „სახალხო კრების“ 28 აქტივისტი დაკავებულია თბილისში“, „ოპოზიცია მიხეილ სააკაშვილის გადადგომას მოითხოვს“, „დაკავებულები არიან ბათუმშიც“, „აჭარაში სცემეს აქტივისტებს“...

ტელეარხი „როსია 1“: საქართველოს პოლიციამ დღეს დილით ორჯერ შეუტია მანიფესტანტებს თბილისში.

გუშინდელი საღამოს შემდეგ ნინო ბურჯანაძის აქცია ფედერალური ტელეარხების მთავარი თემა გახდა. ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფი ფედერალური არხი „ვესტი“ გახდა პირველი, რომელმაც პირდაპირ ეთერში მოატყუა მაყურებლები, როდესაც უამბობდა, რომ პოლიციამ გაანადგურა მომიტინგეები თბილისში. შემდგომ გამოშვებებში მოვლენები ვითარდებოდა სულ უფრო დრამატულად. გაისმოდა განცხადებები, რომ თბილისის პოლიცია გაუსწორდა ოპოზიციას იარაღის გამოყენებითა და ცრემლსადენი გაზით.

ტელეარხი „ვესტი“: პოლიციის თანამშრომლებმა დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენეს ხელკეტები, ცრემლსადენი გაზი და რეზინი სტყვიები, რათა დაეშალათ მიტინგი. ამ დროს მიტინგზე 30-40 კაცი იყო. შედეგად რამდენიმე კაცი დაშავდა.

ტელეკომპანია „ნტვ“-მ პირდაპირ ეთერში და თავის ინტერნეტ საიტზე გაავრცელა ინფორმაცია, რომ თბილისის ცენტრში დარბევაა. არხის სპეციალურმა კორესპონდენტმა თბილისიდან უამბო რუს მაყურებლებს, რომ ოპოზიცია არ აპირებს დიდხანს ლოდინს და ამიტომ სამართალდამცველები საბრძოლო მზადყოფნაში არიან.

იმის ფონზე, რომ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები შეგნებულად აწვდიან დეზინფორმაციას ქვეყანას საქართველოში მომხდარი მიმდინარე მოვლენების შესახებ და მიზნად ისახავენ, რომ გაამწვავონ სიტუაცია. მაგრამ რატომღაც არავინ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ბურჯანაძის ტრიბუნა გაფორმებულია რუსეთის დროშის ფერებით.




EuroNews

# საქართველო „რისხვის დღის“ ზღვარზე?

**ორშაბათს, დემონსტრაციების სამი დღის შემდეგ, რომლებსაც ზოგიერთ ადგილზე თან ახლდა უწესრიგობანიც, საქართველოს ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ 25 მაისს მოაწყობენ „რისხვის დღეს“ და თქვეს, რომ ამ დღეს ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „შეცვლილი“ იქნება. თავისი არაერთმნიშვნელოვანი პრეზიდენტობის 7 წლის განმავლობაში სააკაშვილი ამგვარ პროტესტს პირველად როდი ხვდება.**

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელმაც ზურგი აქცია სააკაშვილს და ძებნაში იმყოფება, დაპირდა დაამთავროს თავისი ოთხწლიანი დევნილობა საფრანგეთში და დაბრუნდეს ოთხშაბათს იმისთვის, რომ სათავეში ჩაუდგეს საპროტესტო აქციას, რასაც იგი თავად ღიად გამოეხმაურა სამხედრო აჯანყების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რათა დაამხონ სააკაშვილის რეჟიმი.

„შემიძლია დაგპირდეთ ორ რამეს: რომ დავბრუნდები საქართველოში 25 მაისს და ეს დღე იქნება უკანასკნელი საქართველოს მთავრობისთვის“, – განაცხადა ოქრუაშვილმა კვირას ქართული ახალი ამბების არხზე.

ოპოზიციური დაჯგუფებების გაერთიანებამ, რომელსაც „სახალხო კრება“ ეწოდება, „რისხვის დღედ“ აირჩია ოთხშაბათი – იმ თარიღის წინა დღე, როდესაც ქვეყანა აღნიშნავს დამოუკიდებლობას. არჩევანი ამ დღესასწაულის წინა დღეზე მოხდა იმისთვის, რომ ხაზი გაუსვან ოპოზიციის უკმაყოფილებას სააკაშვილისადმი, მათ შორის, მისი ავტოკრატული რეჟიმისადმი, იმასაც, რომ მან ვერაფრით ვერ შეძლო ქვეყანაში ცხოვრების ხარისხის ამაღლება და, როგორც ახლა უკვე შეიძლება მივიჩნიოთ, დაკარგა ქართული ტერიტორიები – აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი რუსეთთან 2008 წლის სამარცხვინო ომის დროს.

ახლა კი პოლიციამ გამოიყენა ხელკეტები, ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები პრაქტიკულად მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევისთვის ქართული ტელეცენტრის შენობის წინ, სადაც დაახლოებით 2 ათასი კაცი შეიკრიბა. რამდენიმე კაცმა მიიღო ტრავმა – და ახლა კოალიციის ლიდერი ნინო ბურჯანაძე აფრთხილებს ხელისუფლებას, რომ მღელვარება პროტესტანტებს შორის იზრდება.

„დაიწყო რევოლუცია და იგი დაიწყო ხელისუფლებამ, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ იყენებს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს და როდესაც ჩვენ მხარს ვუჭერთ მხოლოდ მშვიდობიან მეთოდებს“, – განუცხადა მან ჟურნალისტებს.

საქართველოს საერთაშორისო მეთვალყურეები ამბობენ, რომ მათთვის ძნელია იმის ახსნა, თუ რატომ დაიწყო მოულოდნელად ოპოზიციამ ქუჩებში გამოსვლა ორი წლის დუმილის შემდეგ. და თუმცა კრიტიკოსები სააკაშვილს ძალიან ბევრი ჰყავს, განსაკუთრებით დედაქალაქში, მაინც პრეზიდენტის არჩევნები ერთი წლის წინათ მან მოიგო დიდი სხვაობით – ზოგიერთი საერთაშორისო კრიტიკოსები მაშინ არჩევნებს სარწმუნოს არ უწოდებდნენ, მაგრამ მაინც ჩანდა, რომ მას ქართველების უმრავლესობა უჭერდა მხარს. პრეზიდენტის შემდგომი არჩევნები დანიშნულია 2013 წლისთვის.

„გასული წლის შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა, ეკონომიკასა და პოლიტიკაში შეინიშნება სტაგნაცია“, – ამბობს თბილისში კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი გიორგი ხუციშვილი. „ვერანაირ წინასწარ პირობას ვერ ვხედავ, რომლებიც მეტყველებდნენ იმის შესახებ, რომ სააკაშვილი გადაყენებულია. მართლაც, მისით უკმაყოფილება მასებში ფართოდ არის გავრცელებული, მაგრამ ეს გამოიხატება უფრო წყნარად, ვიდრე ადრე იყო... ძირითადი პრობლემები არის ის, რომ ხალხს არ ეზრდება ხელფასები, ქვეყანაში მაღალია უმუშევრობის დონე და ბევრი პესიმისტურად არის განწყობილი ქვეყნის პერსპექტივებთან დაკავშირებით შემდგომი განვითარებისთვის. ხალხი ბევრ რამეს ისმენს სააკაშვილისგან რეფორმების შესახებ, მაგრამ ცვლილებები უკეთესობისკენ არაფრით არ იგრძნობა.

პროტესტების ტალღა წარმოიქმნა შაბათს – იგი დაიწყო დემონსტრაციით თბილისის ცენტრში და მასში მონაწილეობდა დაახლოებით 10 ათასი კაცი, შემდეგ ორშაბათს გაიმართა უფრო ნაკლები ზომის რამდენიმე მიტინგი ქალაქის სხვადასხვა ნაწილში. ექსპერტების სიტყვებით, მოვლენები შეიძლება შეიცვალოს მრავალკვირეული ქუჩის ამბოხებებით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს, რომლის დროსაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში – ოპოზიცია იგივე ფორმულის გამოყენებას ცდილობდა უკვე ორჯერ. „ჯერჯერობით ეს რევოლუცია არაა, მაგრამ რევოლუციამდე შეიძლება მივიდეს, – ამბობს ოპოზიციური შრომის პარტიის ხელმძღვანელი იოსებ შატბერაშვილი. – ამ მოქმედებებს ხელმძღვანელობს ნინო ბურჯანაძე და მან იცის, რომ სააკაშვილთან დიალოგი უნაყოფოა, რომ ხელისუფლება არასოდეს იცავს თავის სიტყვას“.

სააკაშვილისდროინდელი ყოფილი თანამებრძოლი ვარდების რევოლუციაში ბურჯანაძე ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და გონივრულ ფიგურად ოპოზიციის ლიდერებს შორის. შარშან სახელმწიფო ტელეარხზე ეთერში გავიდა ცბიერი საბაბი – შეთხზული ჩანაწერი, რომელზეც იგი გამოიყურება კრემლის მარიონეტად. თავდაცვის ყოფილი მინისტრი ოქრუაშვილი ცნობილია უფრო ნაკლები თანმიმდევრულობით, მაგრამ მისი კავშირურთიერთობა სამხედროებთან შეიძლება გახდეს პრობლემის წყარო.

„ოთხშაბათს „სახალხო კრება“ და ამ ცოტა ხნის წინათ ოქრუაშვილის მიერ ჩამოყალიბებული „ქართული პარტია“ გეგმავენ გაიარონ ქალაქში მარშით და არავინ იცის, თუ რით დამთავრდება ეს“, – ამბობს ევროატლანტიკური კვლევების თბილისის დამოუკიდებელი ცენტრის ხელმძღვანელი მამუკა ნებიერიძე და განაგრძობს, რომ გაურკვეველია, თუ რა უნდა სინამდვილეში ოპოზიციას. „ოპოზიციის ნაწილი ამტკიცებს, რომ თავისუფალი არჩევნები ქვეყანაში (სააკაშვილის დროსძ შეუძლებელია და მათ უნდათ ეს შეცვალონ. მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია ხელისუფლებასთან მოლაპარაკება და პატიოსანი და წმინდა არჩევნების მოპოვება მაქინატორების მონაწილეობის გარეშე. „შარშან არაფერი შეცვლილა და ალბათ, სწორედ ამიტომ ხალხი გამოხატავს თავის უკმაყოფილებას. მათ ცვლილებები უნდათ“, – ამბობს ნებიერიძე.

The Christian Science Monitor

## დედამიწის ზურგზე



**ირანში ახმადინ ნეჟადის ქვეყანაში მოგზაურობისას ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მოხდა აფეთქება**

პრეზიდენტი წავიდა ქარხანაში, რათა საზეიმოდ გაეხსნა ბენზინის წარმოების მესამე ხაზი. აფეთქებას მოჰყვა ძლიერი ხანძარი. ორი კაცი დაიღუპა. ახმადი ნეჟადი არ დაზარალებულა და ტელევიზიით გამოვიდა.

**ასტანაში ყაზახეთის სპეცსამსახურის ციხესთან აფეთქდა ავტომობილი, დაღუპულთა სხეულების ნაწილები ათობით მეტრზეა მიმოფანტული**




ავტომობილ „აუდი-100“-ში იყო ორი კაცი. ორივე დაიღუპა. ამოქმედდა ბომბი, აღიარებენ ძალოვანები, მაგრამ ტერორისტული აქტის შესახებ საუბარს არ ჩქარობენ. სახლებში აფეთქების ადგილის მახლობლად დაიმსხვრა მინები, მცხოვრებთაგან არავინ დაზარალებულა. უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ყაზახეთში სპეცსამსახურის შენობასთან ეს პირველი აფეთქება არ არის.

**პრემიერ-მინისტრი ნეთანიაჰუ: ისრაელს არ შეუძლია დაბრუნდეს 1967 წლის საზღვრებზე**



ისრაელის პრემიერმა კვლავ უარყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას წინადადება განაახლოს მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთში 1967 წლის მდგომარეობის ისრაელ-პალესტინის საზღვრის აღდგენის პირობების შესახებ. „ისრაელს არ შეუძლია დაუბრუნდეს 1967 წლის ხაზებს, ვინაიდან მათი დაცვა შეუძლებელი იქნება“, – განაცხადა ნეთანიაჰუმ.

**„სოიუზი“ სამი კოსმონავტით ბორტზე ყაზახეთის სტეპში დაეშვა**

კაფსულა დაეშვა დედამიწაზე დაგეგმილ რაიონში. დედამიწაზე დაბრუნებული კოსმონავტები ორბიტაზე მუშაობდნენ 159 დღე-ღამის განმავლობაში. კოსმონავტებთან ერთად დედამიწაზე დაბრუნდნენ ორბიტაზე გაყვანილი დროზოფილის ბუზები, რომლებიც უნდა დახმარებოდნენ მეცნიერებს კოსმოსში დნმ-ს სტრუქტურის აღდგენასთან დაკავშირებული პროცესის გამოკვლევაში.



**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

# სამკვიდროს მიღება

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი**



***მოცემული პირობის თანახმად, დაინტერესებულ მკითხველთა თხოვნით, სამკვიდროს მიღების სამართლებრივ საკითხებზე გესაუბრებით.***

სამკვიდროს იღებს კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. სამკვიდროს მიღების უფლება სამკვიდროს გახსნის მომენტიდან წარმოიშობა. ამ მომენტამდე არ შეიძლება არც სამკვიდროს მიღება და არც უარის თქმა მის მიღებაზე.

იმისათვის, რომ სამკვიდრო მემკვიდრის გახდეს, მან უნდა მიიღოს იგი. სამკვიდროს მიღების წესი ერთნაირია როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობის დროს.

თავისი სამართლებრივი ბუნებით სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა. იგი ისეთი იურიდიული მოქმედებაა, რომელიც გამოხატავს სამკვიდროს მიღების სურვილს, ნებას. მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ მოითხოვს კანონი სამკვიდროს მისაღებად სამკვიდროს მიღების ნებას. ეს ხდება მაშინ, როცა სამკვიდრო ხაზინის საკუთრებაში გადადის. სამკვიდროს გადასვლა ხაზინაზე სახელმწიფოს ამა თუ იმ ორგანოს სურვილის მიუხედავად ხდება.

სამკვიდროს მიღება ნიშნავს, რომ სამკვიდრო მემკვიდრემ შეიძინა. თუკი მემკვიდრე შემდგომში არ განახორციელებს სამკვიდროზე თავის უფლებას (მაგალითად, არ იცხოვრებს მემკვიდრეობით მიღებულ სახლში) ან არ მიიღებს ზომებს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის თავის სახელზე გაფორმებისათვის (მაგალითად, დოკუმენტს სახლზე საკუთრების უფლების შესახებ), ეს არავითარ გავლენას არ მოახდენს სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც უკვე მოხდა.

***– იქნებ აგვიხსნათ, დაწესებულია თუ არა კანონით სამკვიდროს მიღების განსაკუთრებული ფორმა და რა დროიდან ჩაითვლება სამკვიდრო მიღებულად?***

**– სამკვიდროს მიღების ორი საშუალება არსებობს: სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანა და სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა და მართვა.**

**მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ჩაითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას, ან მართავს, რაც უდაოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.**

აღნიშნულ საკითხში უფრო სრულყოფილად რომ გაერკვეს ჩვენი ერთგული მკითხველი, ახლა უფრო კონკრეტულად განვმარტავთ ამ პროცედურებს, რაც სამკვიდროს მიღებასა და ფლობასთან არის დაკავშირებული: განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს წერილობით სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში. აღსანიშნავია, რომ სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების შეტანა შეუძლია იმ მემკვიდრესაც, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას და მართვას.

სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა შეიძლება სხვადასხვა გზით განხორციელდეს. მაგალითად, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის ცხოვრება იმავე საცხოვრებელ სახლში, რომელიც მამკვიდრებელი ცხოვრობდა, ყოველთვის განიხილება, როგორც სამკვიდროს მიღება (თუ ცხადია, ის უარს არ განაცხადებს მის მიღებაზე), რამდენადაც მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა გარდაცვლილის ნივთების ფლობას. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მის სახლში მემკვიდრის ცხოვრების ხანგრძლივობას მნიშვნელობა არა აქვს. ქონების ფაქტობრივ ფლობას ნიშნავს ასევე მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის ნივთების თავისთან გადატანა (სხვა საქმეა თუ მემკვიდრე განაცხადებს, რომ დოკუმენტებს ინახავს არა თავისთვის, არამედ სხვა მემკვიდრეებისათვის გადასაცემად და არ აქვს განზრახული სამკვიდროს მიღება). ისეთ მოქმედებად, რომელიც ცხადყოფს სამკვიდროს მიღების ფაქტს, უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა სამკვიდროს მიღების შესახებ.

თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. აქ იგულისხმება ის შემთხვევაც, როცა სამკვიდრო სხვადასხვა ადგილზეა, მაშინ ისეთი მოქმედება, რომლითაც დასტურდება სამკვიდროს მიღება ერთ ადგილზე, ამავე დროს, ნიშნავს სამკვიდროს მიღებას სხვა ადგილზეც.

ერთ-ერთი მემკვიდრის მიერ სამკვიდროდან წილის მიღებაზე უარის თქმა სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, სამკვიდროს მიღებად ჩაითვლება.

სამკვიდროს ფაქტობრივ მართვაში იგულისხმება ისეთი შემთხვევებიც, როცა მემკვიდრე არ ფლობს მამკვიდრებლის ნივთებს, მაგრამ მისი მოქმედებიდან დასტურდება, რომ სამკვიდროს თავისად მიიჩნევს; **მაგალითად, სამკვიდროს გახსნის შემდეგ იხდის ქონების გადასახადს, ახდევინებს ქირას მამკვიდრებლის ქონების დამქირავებელს და ა.შ.**

***– როგორი წესით ხდება სამკვიდროს მიღება. უფრო კონკრეტულად – შეუძლია თუ არა ქმედუუნარო პირს მიიღოს სამკვიდრო?***

**– სამკვიდრო მემკვიდრემ შეიძლება მიიღოს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით.**

**სამკვიდროს მიღება შეუძლია ქმედუნარიან პირს. ქმედუუნარო და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირები სამკვიდროს იღებენ მათი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.**

სამკვიდროს მიღების განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს სამკვიდროს მიღების უფლების გადასვლა სხვა მემკვიდრეებზე, თუ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვალა, მაშინ სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე. აქ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა მემკვიდრემ ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება დადგენილ ვადაში. მემკვიდრეობით სამკვიდროს მიღების უფლების გადასვლას უწოდებენ ტრანსმისიას, მემკვიდრეს, რომლის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდროს მიღების უფლება გადადის სხვა პირზე – ტრანსმიტენტს, ხოლო პირს, რომელზედაც სამკვიდროს მიღების უფლება გადადის – ტრანსმისარს. მაგალითად, თუ პირი გარდაიცვალა და სამკვიდროს მისაღებად მოიწვიეს მისი შვილი (ტრანსმიტენტი), მაგრამ ეს უკანასკნელი გარდაიცვალა, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლამდე ისე, რომ ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება, ასეთ შემთხვევაში მისი წილის მიღების უფლება გადავა მის მემკვიდრეზე (ტრანსმისარზე).

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მემკვიდრეობითი ტრანსმისიის დროს, მემკვიდრე ჩვეულებრივ მიიღებს სამკვიდროს, რომელიც უშუალოდ გარდაცვლილ მემკვიდრეს (ტრანსმიტენტს) ეკუთვნოდა. ტრანსმისიის დროს საქმე ეხება ამ უკანასკნელის სამკვიდროს მიღების უფლებას, რომლის განხორციელება მან გარდაცვალებამდე ვერ მოასწრო. მემკვიდრეობითი ტრანსმისიის წესით სამკვიდროს მისაღებად ცალკე ნების გამომჟღავნებაა საჭირო. ეს იმიტომ, რომ თუ მემკვიდრე მემკვიდრეობითი ტრანსმისიის წესით სამკვიდროს მიღებაზე უარს იტყვის, ის უფლებას არ კარგავს მიიღოს სამკვიდრო, რომელიც უშუალოდ გარდაცვლილ მემკვიდრეს ეკუთვნოდა. მემკვიდრეობითი ტრანსმისიით ქონების მიღებაზე უარისას (ე. ი. როცა ტრანსმისარი უარს იტყვის ტრანსმიტეტის სამკვიდრო წილის მიღებაზე, ქონება გადადის სხვა მემკვიდრეზე, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ სამკვიდროს მისაღებად გარდაცვლილ მემკვიდრესთან (ტრანსმიტენტთან) ერთად.

***– რა განსხვავებაა მემკვიდრეობით ტრანსმისიასა და წარმომადგენლობის უფლებით მემკვიდრეობას შორის?***

**– მემკვიდრეობითი ტრანსმისია არსებითად განსხვავდება მემკვიდრეობისაგან წარმომადგენლობის უფლებით. ეს უკანასკნელი მხოლოდ კანონით მემკვიდრეობის დროს ხდება, მემკვიდრეობითი ტრანსმისია კი როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობის დროს. ამასთან, მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება; მემკვიდრეობითი ტრანსმისიის დროს კი პირიქით, იგი მაშინ ხდება, როცა მემკვიდრედ მოწვეული პირი სამკვიდროს გახსნის შემდეგ გარდაიცვალა, მაგრამ დადგენილ დროში მისი მიღება ვერ მოასწრო. ერთ-ერთი განსხვავება ისიცაა, რომ მემკვიდრეობითი ტრანსმისიით შესაბამის უფლებას იძენს ყოველი მემკვიდრე და არა მხოლოდ შვილიშვილები (შვილიშვილის შვილები და მათი შვილები), დისწულები და ძმისწულები (მათი შვილები) როგორც ამას ადგილი აქვს წარმომადგენლობითი მემკვიდრეობის დროს.**

უფრო დაწვრილებით: იმ შემთხვევაშიც კი, როცა სამკვიდრო მემკვიდრეობითი ტრანსმისიით გადადის შვილიშვილებზე, განსხვავება მასა და წარმომადგენლობით მემკვიდრეობას შორის არ იშლება. წარმომადგენლობის უფლებით შვილიშვილი სამკვიდროს იღებს მაშინ, თუ პირველად გარდაიცვალა შვილიშვილის ის მშობელი, რომელიც ბებიის ან პაპის მემკვიდრე იქნებოდა, შემდეგ კი ბებია ან პაპა; ხოლო ტრანსმისიის შემთხვევაში, შვილიშვილი მაშინ იღებს სამკვიდროს, თუ პირველად გარდაიცვალა ბებია ან პაპა, შემდეგ კი მათი მემკვიდრე (შვილიშვილის მშობელი), რომელმაც ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება დადგენილ ვადაში.

წარმომადგენლობის უფლებით სამკვიდროს მიღებისას ერთი მამკვიდრებელი (ბებია ან პაპა), რომლის ქონებასაც შვილიშვილები იღებენ უშუალოდ თავიანთი ადრე გარდაცვლილი მშობლების გვერდის ავლით. მემკვიდრეობითი ტრანსმისიის დროს კი, ფაქტობრივად ორი მამკვიდრებელია, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან – ბებია ან პაპა და შვილიშვილის მშობელი, ხოლო სამკვიდროს წარმოადგენს მშობლის ქონება, რომლის შემადგენლობაშიც შედის ბებიის ან პაპის ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება. აღნიშნულის გამო წარმომადგენლობის უფლებით მემკვიდრეობისას შვილიშვილები (შვილიშვილის შვილები და მათი შვილები) პასუხს აგებენ მხოლოდ მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე იმ ქონების ფარგლებში, რაც მიიღეს ბებიის ან პაპის გარდაცვალების შემდეგ. ტრანსმისარი კი პასუხს აგებს კრედიტორის წინაშე როგორც ტრანსმიტენტის, ისე მისი მამკვიდრებლის ვალებისათვის მასზე გადასული მთელი ქონებით. **დავუშვათ, რომ პირმა მამის გარდაცვალების შემდეგ მიიღო სამკვიდრო, რომელიც შედგება 1 000 ლარის ღირებულების აქტივისა და 12 000 ლარის პასივისაგან, ხოლო პაპის გარდაცვალების შედეგ მასზე წარმომადგენლობის უფლებით გადავიდა სამკვიდრო, რომელიც შედგება 10 000 ლარის აქტივისა და 200 ლარი პასივისაგან. ასეთ შემთხვევაში პაპის კრედიტორები სრულად დაკმაყოფილდებიან, მამის კრედიტორები კი არა, რადგან პასივი აღემატება აქტივს 2 000 ლარით, საბოლოოდ შვილიშვილი მიიღებს 800 ლარის ღირებულების სამკვიდროს.**

თუ შვილიშვილი სამკვიდროს იღებს მემკვიდრეობითი ტრანსმისიით, მაშინ პაპის ქონება მამის ქონებასთან ერთად განხილულ უნდა იქნეს როგორც ერთიანი, რომელიც ჩვენი მაგალითის მიხედვით შეადგენს 2 000 ლარ აქტივსა და 1 400 ლარ პასივს. ასეთ შემთხვევაში როგორც პაპის, ისე მამის კრედიტორები მიიღებენ სრულ დაკმაყოფილებას (1 400 ლარს) და საბოლოოდ შვილიშვილს დარჩება 600 (2 000-1 400) ლარის ღირებულების ქონება.

***– არის თუ არა კანონით დადგენილი დრო, რომლის განმავლობაშიც მემკვიდრემ სამკვიდრო უნდა მიიღოს?***

**– დიახ, კანონით დადგენილია დრო, რომლის განმავლობაშიც მემკვიდრემ სამკვიდრო უნდა მიიღოს. სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში. სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამასთან გათვალისწინებულია ამ ვადის გაზრდის შესაძლებლობა. პირს, რომლის სამკვიდროს მიღების უფლება იმ შემთხვევაში წარმოიშობა, როცა სხვა მემკვიდრეები სამკვიდროს არ მიიღებენ, შეუძლია სამკვიდრო მიიღოს, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის დარჩენილი დროის განმავლობაში, ხოლო თუ ეს დრო სამ თვეზე ნაკლებია, – გაგრძელებულ იქნება სამ თვემდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ წინა რიგის მემკვიდრეებმა სამკვიდრო არ მიიღეს, მომდევნო რიგის მემკვიდრეებს, თუ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის დარჩენილი ნაწილი სამ თვეზე ნაკლებია, გაუგრძელდებათ ვადა სამ თვემდე, მაშასადამე, სამკვიდროს მიღების ვადა შეიძლება ცხრა თვემდე გაგრძელდეს.**

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა სამკვიდროს წილის მიღება ხორციელდება მემკვიდრეობითი ტრანსმისიით. იმ პირებმა, რომლებიც სამკვიდროს მიიღებენ მემკვიდრეობითი ტრანსმისიით, სამკვიდრო უნდა მიიღონ სამკვიდროს მიღების ვადამდე დარჩენილი ხნის განმავლობაში, თუ ეს დრო სამ თვეზე ნაკლებია, იგი სამ თვემდე უნდა გაგრძელდეს.

კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადის გასვლის შემთხვევაში მემკვიდრე, როგორც წესი, კარგავს სამკვიდროს მიღების უფლებას. ამავე დროს, კანონით დაშვებულია სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელება სასამართლოს მიერ, თუკი იგი ვადის გადაცილების მიზეზებს საპატიოდ მიიჩნევს. სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნეს ვადის გასვლის შემდეგაც სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე, თუ ამაზე თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე. მაშასადამე, სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების საკითხი სასამართლოს წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში დადგება, როცა მემკვიდრეები, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, თანახმა არ არიან მემკვიდრეთა წრეში ჩართონ მემკვიდრე, რომელმაც სამკვიდროს მიღების ვადა გაუშვა.

სასამართლო, როგორც აღნიშნული იყო, სამკვიდროს მიღების ვადას გააგრძელებს, თუ ვადის გადაცილების მიზეზებს საპატიოდ მიიჩნევს. კანონში არ არის მითითებული სახელდობრ იმ მიზეზებზე, რომლებიც საპატიოდ უნდა ჩაითვალოს. სასამართლომ საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უნდა გადაწყვიტოს ვადის გადაცილების საპატიოდ მიჩნევის საკითხი (საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ხანგრძლივი ავადმყოფობა, ხანგრძლივი მივლინება და ა.შ.).

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლოები იშვიათად ამბობენ უარს ვადის გაგრძელებაზე, ვადას აგრძელებენ მაშინაც, როცა ვადის გასვლის მიზეზები საპატიო არ არის, რაც, ვფიქრობ, არამართებულია – სამკვიდროს მიღების ვადა ყოველთვის არ უნდა გაგრძელდეს.

თუ მემკვიდრე, რომელმაც სამკვიდროს მიღების ვადას გადააცილა, ერთადერთია, მაშინ ვადის გაგრძელების საკითხი უნდა გადაწყდეს სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით, სასამართლოს მიერ საქმეში მონაწილეობის მისაღებად მესამე პირის სახით საფინანსო ორგანოს ჩაბმით.

სასამართლოს მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ისმის კითხვა – სავალდებულოა თუ არა ვადის გაგრძელებასთან ერთად სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება მოსარჩელესათვის იმ ქონების შესახებ, რომელიც მის წილს შეადგენს. სწორი იქნება მივიჩნიოთ, რომ კანონი იმის შესახებ, რომ სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს სამკვიდროს მიღების ვადა, თუ ვადის გადაცილების მიზეზს საპატიოდ მიიჩნევს, არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო დანიშნავს დამატებით დროს სამკვიდროს მისაღებად. აქ ვადის გაგრძელებაში იგულისხმება ის დრო, რომელიც გავიდა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლიდან სასამართლოს მიერ ვადის გაგრძელების თაობაზე საქმის განხილვამდე. ამიტომ საპატიო მიზეზების არსებობისას სასამართლო გააგრძელებს რა სამკვიდროს მიღების ვადას, ასევე უნდა გადაწყვიტოს მოსარჩელისათვის მისი ხვედრი ქონების ნაწილზე უფლების ცნობის საკითხი.

ბუნებრივია, აღნიშნულ დროს დგება სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შედეგების საკითხი. სამკვიდროს მიღების ვადის გამშვებ მემკვიდრეს მისი ხვედრი ქონებიდან, რომელიც სხვა მემკვიდრეებმა მიიღეს, ან ხაზინის საკუთრებაში გადავიდა, ნატურად მიეცემა ის, რაც შენარჩუნებულია; მას მიეცემა ასევე მისი ხვედრი ქონების დანარჩენი ნაწილის ღირებულება. მოცემულ მემკვიდრეს უფლება არა აქვს მოითხოვოს სხვა მემკვიდრისაგან იმ დანაკარგების ანაზღაურება, რაც გამოიწვია, მაგალითად, ნივთის გაცვეთამ, შემთხვევით დაღუპვამ ან გაფუჭებამ და სხვა.

***– შეუძლია თუ არა ერთ-ერთ მემკვიდრეს შეუდგეს სამკვიდროს ფლობას ან მართვას, მისი გახსნის დღიდან 6 თვის გასვლამდე და რა თანხების დახარჯვის უფლება აქვს მას მსგავს შემთხვევაში?***

**– მემკვიდრეს შეუძლია შეუდგეს სამკვიდროს ფლობას ან მართოს ისე, რომ არ დაელოდოს სხვა მემკვიდრეების გამოცხადებას. მაგრამ იმისათვის, რომ ამ უკანასკნელთა ინტერესები არ შეილახოს, მემკვიდრეს, რომელიც შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლამდე, ან სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე, უფლება არა აქვს განკარგოს სამკვიდრო. აღნიშნული დროის გასვლამდე ან სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე მას შეუძლია სამკვიდროდან გაიღოს ხარჯები, რაშიაც შედის: მამკვიდრებლის მოვლისა და მკურნალობისათვის, მისი ავადმყოფობის დროს, აგრეთვე დაკრძალვისათვის გაწეული ხარჯები; ასევე, ხარჯები მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი პირების შენახვისათვის; ხელფასის გასტუმრებისათვის; სამკვიდროს დაცვისა და მართვისათვის და სხვა.**

**თუ სამკვიდროში არ მოიპოვება ფულადი თანხები, მაშინ გაიცემა ნივთი, რომლის ღირებულება არ აღემატება ასანაზღაურებელი ხარჯების თანხას.**

მემკვიდრეს უფლება აქვს მოითხოვოს სამკვიდროს აღწერა, რისთვისაც ეძლევა ორი თვის ვადა, რაც შედის სამკვიდროს მისაღებად დადგენილ საერთო ვადაში.

მიღებული სამკვიდრო მემკვიდრეების საკუთრებად ითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან. აღნიშნულის გამო მემკვიდრეს, რომელმაც მიიღო სამკვიდრო, უფლება აქვს არა მარტო შემოსავალზე, რომელიც მოიტანა სამკვიდრომ სამკვიდროს გახსნის დღიდან, არამედ ასევე ვალდებულია ამავე დღიდან გასწიოს სამკვიდროსათვის საჭირო ყველა ხარჯი.

მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს სამკვიდროში შემავალი ქონება, თუ ის სხვის ხელშია. შეუძლია გადაახდევინოს ვალები მამკვიდრებლის მოვალეებს, რომლებსაც არ შეუსრულებიათ ვალდებულება მამკვიდრებლისათვის. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრის სარჩელი დაფუძნებულია საკუთრების უფლებასა და მოთხოვნის უფლებაზე. განსხვავებულია სარჩელები, რომლიც ეხება სამკვიდროს, რომელიც შეცდომით მიიღო პირმა. სარჩელი ამ შემთხვევაში ეხება მთელ სამკვიდროს ან მის განსაზღვრულ ნაწილს და არა ცალკეულ ნივთებს. მემკვიდრემ უნდა დაამტკიცოს თავისი მემკვიდრეობის უფლება და არა მისი საკუთრებისა და მოთხოვნის უფლება.

***– რას ითვალისწინებს კანონი იმ შემთხვევაში, როცა კანონით მემკვიდრემ, რომელიც შეუდგა სამკვიდროს ფლობას, არ იცოდა ანდერძის არსებობის შესახებ, რომელიც ეხება იმ ქონებას, რომლის ფლობასაც კანონით მემკვიდრე შეუდგა?***

**– აღნიშნულ შემთხვევაში ცხადია, სამკვიდრო ანდერძით მემკვიდრეებს გადაეცემა, მაგრამ მემკვიდრეს, რომელიც შეცდომით შეუდგა სამკვიდროს ფლობას, სარჩელის აღძვრამდე, დარჩება შემოსავალი, რაც სამკვიდროდან მიიღო. მას უფლება აქვს აგრეთვე, მოითხოვოს მთელი კაპიტალი, რაც სამკვიდროში დააბანდა (მაგალითად თანხა, რომელიც დახარჯა სახლის შესაკეთებლად). თუ მოხდა ისე, რომ სამკვიდროში შემავალი ნივთები გაიყიდა დავის აღძვრამდე, მაშინ ნასყიდობა ნამდვილად ჩაითვლება და ძალაში დარჩება, ხოლო ნივთების გაყიდვით მიღებული თანხა ანდერძით მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) გადაეცემა.**

**ირინე ღლონტი**

კალათბურთი

# „არმია“ — მეშვიდე ჩემპიონი

**თავდაცვის სამინისტროს გუნდი „არმია“ (პრეზიდენტი — ბესო ბერულაშვილი, მთავარი მწვრთნელი — ლევან მოსეშვილი) თბილისის „დინამოს“, „ვითას“, ბათუმის „ბასკოს“, სტუ-ს, „ავიამშენისა“ და რუსთავის „აზოტის“ შემდეგ მეშვიდე კლუბია, რომელმაც საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. ვულოცავთ!**

თსუ-ს წინააღმდეგ ფინალური შეხვედრების სერიის დაწყების წინ ძალოვნებმა წვერი მოუშვეს და პირობა დადეს, რომ წარმატების შემთხვევაში ისევ იზრუნებდნენ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად. ასე რომ, დღეს დედაქალაქელ დალაქებს სამუშაო არ მოაკლდებათ. ახლა კი მოკლედ დასკვნითი მატჩების შესახებ.



**თსუ — „არმია“ 60:74 (1:2)**

მესამე ბრძოლა არმიელთა თავკაცის დაბადების დღეს დაემთხვა, ამიტომ მის შეგირდებს, უბრალოდ, უფლება არ ჰქონდათ გაეწბილებინათ ბატონი ლევანი.

იმავე დღეს კიდევ ერთი აღსანიშნავი ფაქტი მოხდა: თბილისის სპორტის სასახლეში შეკრებილ აუდიტორიას დაახლოებით ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ ფიბა-ს არბიტრი მაკა კუპატაძე დაუბრუნდა, რომელიც შსს-ს გუნდის მოთამაშის ბესო ლეჟავას ვანდალური იერიშის შედეგად აღმოჩნდა საავადმყოფოში (წინა დღეს მან ქუთაისში III ადგილისთვის გამართული დუელი იმსაჯა; „ქუთაისი“ — „სოხუმი“ 91:84).

დაბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება: ტრიბუნებზე შეკრებილთა შორის სტუდენტთა ქომაგებს რაოდენობის მხრივ საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ. მიზეზი ბანალურია: ქვეყანაში შექმნილი რევოლუციური სიტუაციის გამო ჯარისკაცებს საკალათბურთოდ არ ეცალათ და პოზიციები „აკოფებში“ ჰქონდათ დაკავებული.

ვერ გეტყვით, ამის თუ სხვა რამის გამო ფავორიტი უკანასკნელი პერიოდის წინ მდევრის როლში იყო — 45:51. სწორედ ამ დროს იჩინა თავი მისი მეტოქის სათადარიგოთა მოკლე სკამის ფაქტორმა. ტრავმირებული მარხვაშვილისა და ჩიტაშვილის არყოფნამ, აგრეთვე ერთ-ერთი გიგანტის ლონდარიძის უნებისყოფობამ (მან საწყის ათ წუთში ამოწურა პერსონალური შენიშვნების ლიმიტი) თსუ-ს დაუძლეველი პრობლემები შეუქმნა, რასაც დაღლილობაც დაემატა. ამიტომ სავსებით ლოგიკური გახლდათ ბაბიაშვილისა (23 ქულა) და მის პარტნიორთა აფეთქება, რასაც მეოთხედისა (29:9) და მთლიანად შერკინების (74:60) მოგება მოჰყვა.

**თსუ — „არმია“ 61:65 (1:3)**

მოვლენები გუშინაც ანალოგიური სცენარით განვითარდა. მართალია, ნუგზარ ჭეიშვილმა ამჯერად ბრძოლაში ტრავმირებულებიც ჩააბა, მაგრამ მათი შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც ობიექტურად უძლიერესმა გაიმარჯვა.

**გიორგი შოთაძე**

უნივერსიადა 2011



# სტუ პოზიციებს არ თმობს

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულმა სტადიონმა „უნივერსიადა-2011“-ის პროგრამით მოასპარეზე მძლეოსნებს უმასპინძლა.** გოგონებში შესანიშნავად იასპარეზა მაია გოგოლაძემ (სამედიცინო ინსტიტუტი „ჰიპოკრატე“). მან 200 და 400 მეტრზე რბენა მოიგო. 100 მეტრზე რბენაში ყველას სოფიო მაჭავარიანმა (დავით გურამიშვილის სახელობის უნივერსიტეტი „იბერია“) აჯობა. 800 მეტრზე ფინიშთან პირველი იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი თამარ ქველიძე. ვაჟებში ოქროს მედლები ალექსანდრე გაბუნიამ (100 მ. შავი ზღვის უნივერსიტეტი), ბექა ჯიშკარიანმა (200 მ, ქუთაისი), დავით ბარამიძემ (400 მ. ბათუმის საზღვაო აკადემია“), მერაბ ჭინიძემ (800 და 1500 მ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) და ოთარ ხაჭაპურიძემ (სიგრძეზე ხტომა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი) მოიპოვეს.

შვიდკაცა რაგბიში ტოლი არ ჰყავდა სტუ-ს, რომელმაც ფინალში სამედიცინო ინსტიტუტის გუნდს სძლია — 21:10, პრინჯაოსთვის პაექრობაში ბათუმის საზღვაო აკადემიის მორაგბეებმა ილიაუნელები დაამარცხეს — 20:7.

თორმეტი სახეობის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში 28 მედლით (10 ოქრო, 11 ვერცხლი, 7 ბრინჯაო) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ლიდერობს. მას სამი ჯილდოთი ჩამორჩება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (9, 8, 8). 18 მედლით (5, 5, 8) აგრარული უნივერსიტეტი მესამე ადგილზეა.

**ლაშა დიდია**

ძალოსნობა

# ქუთაისმა უმასპინძლა



**წლეულს აგვისტოსა და ოქტომბერში ჭაბუკ და ახალგაზრდა ძალოსანთა ევროპის პირველობები გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის ნაკრების ძირითადი ბირთვის შერჩევასა და სპორტსმენთა მომზადების დონის შემოწმებას მიეძღვნა საქართველოს პირველობა, რომელსაც ქუთაისმა უმასპინძლა. ტურნირში 1991 და უფრო გვიან დაბადებული 110-ზე მეტი ათლეტი მონაწილეობდა. განსაკუთრებით მძიმე წონაში გამოირჩა ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი ლაშა ტალახაძე, რომელმაც ექვსიდან მხოლოდ ორი ცდა გამოიყენა. ამის მიუხედავად, ორჭიდის ჯამში 360 კილოგრამი (170+190) მოაგროვა და მეორე ადგილზე გასულ გიორგი თურმანიძეს მთელი 60 კილოთი(!) გაუსწრო.**

დანარჩენ წონებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: სიმონ შამილიშვილი (აჭარა, 205 კგ), შოთა მიშველაძე (ქუთაისი, 242), გიორგი ლომთაძე (ქუთაისი, 290), ზურაბ თავაძე (ქუთაისი, 293), ლევან შაინიძე (აჭარა, 265), ვილი ალექსიძე (აჭარა, 302), ნიკა ნანაძე (თბილისი, 337).

ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის — ვანო გრიქუროვის ხელმძღვანელობით 15 ძალოსანი ჩაქვში ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გაივლის. ესენი არიან: გია მაჭავარიანი, ირაკლი თურმანიძე, ვაჟა ღონღაძე, ალუდა მანაგაძე, დავით გოგია, რაულ ცირეკიძე, გიორგი ლომთაძე, შოთა მიშველიძე, ჯაბა ჩიბურდანიძე, ბაჩანა ქუხილავა, ზვიად სამუკაშვილი, თემურ პერტაია, იკა ცანავა, დავით ხარატაშვილი და ლაშა ტალახაძე. ქართველი ძალოსნებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატია პარიზში 5-13 ნოემბერს, სადაც ლონდონის ოლიმპიადის საგზურების ბედი გადაწყდება.

**ლექსო ცინცაძე**

სუმო

# მებრძოლი სულის ვიცე-ჩემპიონი



**იაპონიაში დამთავრდა პროფესიონალ სუმოისტთა ნაცუ ბაშო, რომელშიც სამი ქართველი სპორტსმენიც მონაწილეობდა. ელიტაში შესანიშნავად იასპარეზა ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი) — მან 2009 წლის ბაშოს შედეგები გაიმეორა: 12 შეხვედრა მოიგო და სამ პაექრობაში მარცხი იწვნია, რითაც ვიცე-ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.** არადა, ძალიან ახლოს იყო, იმპერატორის თასისთვის ჰაკუჰოს შეხვედროდა, რადგან ბოლო პაექრობა მონღოლმა დათმო, თუმცა 13-2 ბალანსით მე-19 გამარჯვება იზეიმა. სამწუხაროდ, დამარცხდა ტოჩინოშინიც და კაკურიუსთან ერთად ვიცე-ჩემპიონობა ერგო. ამასთანავე მას მებრძოლი სულის ტიტულიც ხვდა.

ბაშოს ბოლო დღეებში ქომაგები გაახარა თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ), რომელმაც ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო და ტურნირი დადებითი ბალანსით (8-7) დაასრულა.

სამწუხაროდ, ძიუდოს დივიზიონშიც ვერ იყოჩაღა ლევან ცაგურიამ (კოკაი). „შავი ზღვა“ 5 მოგებითა და 10 წაგებით, შესაძლოა, კიდევ ჩამოქვეითდეს.

**გივი გაგუა**

ინტერნეტიდან

## ჰიროსიმა უარზეა

**ამომავალი მზის ქვეყნის მრავალტანჯული ქალაქი ჰიროსიმა უარს ამბობს 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობაზე.**

როგორც პრესა იტყობინება, ჰიროსიმას მოქალაქენი გამოვიდნენ საამისო განცხადების შეტანის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ ქალაქის მერმა კაძუმი მაცუიმ გადაწყვიტა ოლიმპიადის მხარდამჭერთა კომიტეტის დათხოვნა.



აღსანიშნავია, რომ ოლიმპიურმა კომიტეტმა უარყო ნაგასაკისა და ჰიროსიმას 2020 წლის თამაშებზე ერთობლივი განაცხადი.

შეგახსენებთ, რომ ჰიროსიმა და ნაგასაკი ისტორიაში შევიდნენ 1945 წელს აშშ საჰაერო ძალების მიერ ატომური დაბომბვის შემდეგ.

2020 წლის ოლიმპიადის ჩატარებაზე პრეტენზიას აცხადებს ტოკიოც, რომელიც 2016 წლის თამაშებისთვის ბრძოლაში დამარცხდა.

## ცხენმა კადიროვი უფრო გაამდიდრა

**ჩეჩნეთის რესპუბლიკის თავკაცის რამზან კადიროვის ცხენმა, სახელად ჯიტანო ერნანდომ, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა სინგაპურში გამართულ პრესტიჟულ დოღზე.** მან პირველმა გაიარა ორიათასმეტრიანი დისტანცია და მოიპოვა სინგაპურის ავიახაზების თასი. ცხენმა თავისი პატრონი 3 მილიონი დოლარით გაამდიდრა. ამას აცხადებს ინგლისური პრესა. მას კი რესპუბლიკის მეთაურის პრეს-სამსახური დუმს საპრიზო ფონდის სიდიდეზე, თუმცა აღნიშნავს, რომ ცხენმა რუსეთიდან პირველად მოიპოვა საპრიზო ადგილი მსოფლიოს უძლიერეს ბედაურებს შორის. კადიროვის ცხენმა სინგაპურში უკან ჩამოიტოვა დუბაიში მსოფლიო თასზე გამარჯვებული ცხენი, აგრეთვე პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ბედაური რივერ უეტეზი, ადრე ექვსჯერ რომ გაიმარჯვა პირველი ჯგუფის დოღებში.



## „შალკეს“ მეკარე გაასილაქეს

**გერმანიის წლევანდელი თასის მფლობელი „შალკესა“ და გერმანიისვე ნაკრების მეკარეს მანუელ ნოიერს გუნდის დიდი გამარჯვების ზეიმის დროს რომელიღაც გულშემატკივარმა სილა გააწნა, რაც აღბეჭდა ვიდეოკამერამ.**

შეგახსენებთ, რომ 22 მაისს „შალკემ“ თასის ფინალი მოუგო „დუისბურგს“ — 5:0. გამარჯვებულმა მეკარემ სილა მაშინ მიიღო, ღია მანქანით „შალკეს“ გულშემატკივრებს რომ მიესალმებოდა.

ისიც აღსანიშნავია, რომ 25 წლის მეიერმა განაცხადა: 2010-2011 წლის ბოლოს ის აპირებდა კლუბთან კონტრაქტის შეწყვეტას, რომელიც 2012 წლამდე მოქმედებს. ყველა ფიქრობდა, რომ ის „ბავარიაში“ გადავიდოდა, რომელმაც „შალკეს“ მისი ყიდვა შესთავაზა.

## ჯერ ქალებისთვის არ სცალია

**ლაპარაკია „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდზე ხავიერ ერნანდესზე, განვლილ სეზონში ნამდვილი ფურორი რომ მოახდინა — მეტოქის კარში 13 ბურთი გაიტანა, თუმცა მისმა თანაგუნდელმა დიმიტარ ბერბატოვმა 21 გოლი გაიტანა, მაგრამ ხავიერი მაინც გახდა „წითელი ეშმაკების“ საუკეთესო მოთამაშე.**

ამიტომაც გასაკვირი როდია, რომ მექსიკელი ფეხბურთელი დიდი პოპულარობით სარგებლობს „სუსტი სქესის“ წარმოადგენლებში და დღითი დღე იზრდება მისი თაყვანისმცემლების რიცხვი, ერთ-ერთი მათგანი, თუ უპირველესი არა, პერუელი მოდელი დიანა კორნეხოა, ახლახან ძალზე პიკანტური ფოტოსესია რომ გამართა. ლამაზმანი არ მალავს თავის სიყვარულს მექსიკელი ფორვარდისადმი და მალე მისი ყურადღების ცენტრში მოხვედრაზე ფიქრობს.

თუმცა ერნანდესს ჯერჯერობით ქალებისთვის არ სცალია. ის გულმოდგინებით ემზადება „მანჩესტერ-იუნაიტედთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის, რომელიც 28 მაისს უნდა გაიმართოს „უემბლიზე“ ესპანურ „ბარსელონასთან“.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ „მის თბილისი 2011“

# გამარჯვებული ფერადკანიანია

**ჩვენი სტუმარი მერი ადარვა 8 წლის იყო, როცა მოდელის კარიერა დაიწყო. დღეს იგი არის F fece-სახე და „მის თბილისი 2011“ მოდით, გავიცნოთ!**



**— თქვენ ნახევრად ქართველი და ნახევრად ამერიკელი ხართ, გვიამბეთ თქვენს შესახებ.**

— მამა უსმან ადარვა ნიგერიელია, დედა კი — ქართველი, სოხუმელი რუსუდან კვარაცხელია. დავიბადე მოსკოვში, 3 წლის ვიყავი, საქართველოში რომ ჩამოვედი.

**— თქვენ შავკანიანი ხართ, ხომ არ გიგრძვნიათ თავი შეზღუდულად საქართველოში?**

—ბავშვობაში ჩემი სიშავე ძალიან მაკომპლექსებდა. ძნელია, როცა ყველა გიყურებს, მოგჩერებია, ხანდახან მიტირია კიდეც ამის გამო. თან ქართულად სიტყვაც არ ვიცოდი, რუსულად და ინგლისურად ვლაპარაკობდი. გარეთ, ბავშვებთან სათამაშოდ რომ გამოვდიოდი, ისინი ქართულად მელაპარაკებოდნენ, მე კი ვტიროდი, რადგან ვერ ვიგებდი. იყო პერიოდი, როდესაც საერთოდ არ ვიხედებოდი გარეთ. მერე გავიზარდე, ნელ-ნელა ქართული შევისწავლე. შევედი ქართულ სკოლაში და პირველი კლასიდან აქ ვარ. „ზანგი, ზანგი, მულატი, მულატი“... — მესმის შეძახილები, ქუჩაში დღესაც უკვირთ ჩემი სიშავე.

**— დედა მეგრელი გყავთ, იცით მეგრული?**

— ვაიმე (იცინის), დედა არის სოფელ ჯგალიდან. წალენჯიხაში, ზუგდიდში, ჩხოროწყუში აღარ უკვირთ ჩემი დანახვა. როცა იქ ვარ, მეგრულად ვლაპარაკობ. აბა, რა. ესეც ძალიან უკვირთ (იცინის).

**— ვიცი, რომ როცა პატარა იყავით, დედას ამერიკაში მიჰყავდით, თქვენ კი არ გინდოდათ წასვლა, არც წასულხართ...**

— 2 წლის წინათ მამაჩემმა გამოგზავნა ვიზა, დედაჩემს ძალიან უნდოდა, რომ წავსულიყავით. გავჯიუტდი, რადგან აქაურობა უზომოდ მიყვარს, საქართველოში ცხოვრებას მივეჩვიე, ქართველი ხალხი, მისი ისტორია ძალიან, ძალიან მიყვარს. ასევე, მომწონს ქართული ლექსები, სიმღერები, სარწმუნოება. აქ მყავს მოძღვარი, მარხვას ვიცავ ისე, როგორც ნებისმიერი ქართველი.

**— როგორ მოახერხეთ საქართველოში დარჩენა?**

— ვიზის თარიღს მელანი დავასხი, არ ჩანდა თარიღი და, შესაბამისად, არ გამიშვებდნენ, დედაჩემი კი წავიდა.

**— ხომ არ ნანობთ რომ არ წახვედით?**

— არა, დედა მენატრება მხოლოდ.

**— თქვენ გახდით „მის თბილისი 2011“, სანამ აქამდე მოხვედით, რა გზა გაიარეთ, რომელ სააგენტოში იყავით?**

— რამდენიმე სააგენტოში: ჯერ ვიყავი JM (ჯეი ემში), შემდეგ ორი წელი შევისვენე და მივედი სამოდელო სააგენტო Look Model-ში ნინო ცქიტიშვილთან. დავამთავრე „კიკალა სტუდიოთი“.

**— ამჟამად რომელ სააგენტოში ხართ?**

— F fece-ში ყოფილ სააგენტოში დავბრუდი, რომელსაც ერქვა JM და რომლის სახე მე ვარ. ვიყავი „ფავორიტში“, ორი თუ სამი თვე იქ ვიარე. სიტუაცია არ იყო ისეთი, რომ გავჩერებულიყავი. მასწავლებელი ძალიან კარგი მყავდა, მაგრამ უფროსი უხეშად მექცეოდა. ჩვენებების დროს დიზაინერები მოდიოდნენ. თუ მე ამირჩევდნენ, რომ ჩამეცვა მათი შეკერილი ტანსაცმელი, ეს ქალი უარზე იყო. ხან კი ამბობდა, სიარული არ იცისო. რა ვიცი, ათასნაირ მიზეზს იგონებდა.

**— თქვენ გახდით „მის თბილისი 2011“, როდესაც ეს გამოაცხადეს, რა გრძნობა დაგეუფლათ?**

— ხმა ვერ ამოვილე, არც კი მოველოდი, თუ მე გავხდებოდი, ეს ჩემთვის შოკიც იყო და დიდი პასუხისმგებლობაც. მინდა გავამართლო.

**— მოდელის გარდა სხვა რომელიმე პროფესიას თუ დაეუფლეთ?**

— დიახ (იცინის) — ჟურნალისტის პროფესიას. „მაესტროზე“ ადრე მუსიკალური ათეული მიმყავდა, იმის მერე ტელეკამერა და ეს პროფესია შემიყვარდა.

ესაუბრა
**თამარ ბარისაშვილი**

◉ XXI საუკუნის პერსონები

# „უდაბნოს ვარდები“ თუ „პირსისხლიანი ქალბატონები“

**ვნებათაღელვამ, რომელმაც შარშან ნოემბრიდან მსოფლიო მასმედია მოიცვა მას შემდეგ, რაც პრინც უილიამმა და ქეით მილდტონმა მომავალი ნიშნობის შესახებ განცხადება გააკეთეს და მერე მათ ქორწილმა, მთლად თუ არ დაჩრდილა, მაინც ოდნავ განზე გაწია შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, უფრო მეტად კი ლიბიაში მიმდინარე მოვლენები. თანამედროვე თაობის თვალწინ სახეს იცვლის მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, რამაც ყველა ფერთან ერთად, იქაური დიქტატორების თანამეცხედრეებისადმი ინტერესი გააასმაგა.**

**საფია ფარკაში, ლიბია.** მუამარ კადაფის მეორე ცოლი, მისი ერთადერთი ქალიშვილისა და შვიდიდან ექვსი ვაჟიშვილის დედა. ისინი 1971 წელს შეუღლდნენ მას შემდეგ, რაც იგი კადაფის აპენდიციტის შეტევის შემდეგ უვლიდა. გაერომ უცხოეთის ბანკებში მისი ანგარიშები გაყინა, რადგან დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი შიშობდნენ, რომ იგი თავის აურაცხელ სიმდიდრეს — დაახლოებით 30 მილიარდ დოლარსა და 20 ტონა ოქროს — ქმრის რეჟიმის დასაცავად მიმართავდა.


საფია ფარკაში

**სუზან მუბარაკი, ეგვიპტე.** გადაყენებული დიქტატორის 70 წლის მეუღლის ახლო მეგობრები ბილი და ჰილარი კლინტონები არიან. სუზანი ნახევრად ბრიტანელია, იგი კაიროს ამერიკის უნივერსიტეტში სწავლობდა. ქმრის საქმეებში დიდად არ ერეოდა, თუმცა კი ყოველმხრივ ნერგავდა იმ აზრს, რომ მისი ვაჟიშვილი ჰამალი მამის მემკვიდრე გახდებოდა.


სუზან მუბარაკი

**ასმა ალ-ასადი, სირია.** ეს ქალბატონი 1975 წელს დიდ ბრიტანეთში დაიბადა, დაამთავრა ლონდონის სამეფო კოლეჯის კომპიუტერული მეცნიერების განყოფილება, შემდეგ კვალიფიკაცია შეიცვალა, გახდა ბანკირი და ნიუ-იორკში გადავიდა. მომავალი მეუღლე ლონდონში გაიცნო, სირიის პირველი ქალბატონი 2000 წელს გახდა. ჟურნალმა „ვოგმა“ მას „უდაბნოს ვარდი“, „მომხიბლავი და უაღრესად ელეგანტური“, „მსოფლიოს პირველ ქალბატონებს შორის ყველაზე მიმზიდველი“ უწოდა.


ლეილა ტრაბელსი

**ლეილა ტრაბელსი, ტუნისი.** ხილით მოვაჭრის ქალიშვილი სკოლის შემდეგ პარიკმახერად მუშაობდა, მერე გათხოვდა, ზინ ალ-აბიდინ ბენ ალი კი, რომელიც იმ ხანად შს მინისტრი იყო, გაყრის შემდეგ გაიცნო. იგი ცოლიანი იყო და სამი შვილიც ჰყავდა, მაგრამ ამან ლეილას უკან ვერ დაახევინა, მან მუცელი აიყოლა და როცა ბენ ალი პრეზიდენტი გახდა, წყვილმა მხოლოდ ამის შემდეგ იქორწინა. სააგენტო „ასოშიეიტედ პრესის“ ცნობით, ლეილა და მისი ათი და-ძმა ტუნისში უძლიერეს მაფიოზურ კლანს წარმოადგენდნენ. იანვრის მღელვარებათა დაწყების შემდეგ იგი ქვეყნიდან გაიქცა და თან ოქროს მარაგის მეოთხედი, ტონანახევარი ოქრო „გაიყოლა“.

**პრინცესა ლალა სალმა, მაროკო.** ქალიშვილობაში ლალა ბენანი, კომპიუტერული ინჟინერი, მაროკოს მეფე მუჰამედ VI-ზე 2002 წელს, 24 წლის ასაკში გათხოვდა. მეფემ მაშინ ტრადიცია დაარღვია და იგი ცოლად საჯაროდ აღიარა. მანამდე მაროკოში ხელმწიფეთა ქორწინებები ყოველთვის სახელმწიფოსაიდუმლოს წარმოადგენდა, მათ ცოლებს კი არავის ანახებდნენ. პრინცესა ლალასაც თავი ძალიან მორიდებულად უჭირავს, მიუხედავად ამისა იგი კიბოსთან მებრძოლ საქველმოქმედო ორგანიზაციებს პატრონობს.


ასმა ალ-ასადი
ლალა სალმა

◉ ტესტი

# რამდენად შეგიძლიათ მოთმენა?

**უპასუხეთ შემოთავაზებულ შეკითხვებს და გაიგებთ, რამდენად გახასიათებთ ისეთი თვისება, როგორიცაა მოთმინება, და ადვილად თუ შეიძლება თქვენი გამოყვანა წონასწორობიდან.**

**1. საყვარელი ადამიანი იგვიანებს პაემანზე, მისი მობილური კი მიუწვდომელია. თქვენი რეაქცია?**

აქ ხართ მშვიდად, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ საქმიანი შეხვედრა არაა და ზედმეტი წუთები არაფერს წყვეტენ.

ბქ იწყებთ ცოტა ნერვიულობას, და თავს იმშვიდებთ იმით, რომ ცხადია ისევ დაჯდა მობილური ტელეფონის ბატარეა, და მას არ შეუძლია გაცნობოთ, რომ იგვიანებს.

გქ ძლივს იკავებთ თავს გაღიზიანებისგან, ემზადებით, ყველაფერი პირში მიახალოთ საყვარელ ადამიანს.



**2. მეგობარი, როდესაც რაღაცას გიყვებათ, ვერ ახერხებს საქმის არსის წარმოჩენას. როგორ მოიქცევით?**

აქ გააგრძელებთ ყურადღებით მოსმენას, დეტალები ხომ ყველაზე საინტერესოა.

ბქ ტაქტიკურად შეეცდებით წაიყვანოთ საუბარი საჭირო კალაპოტით.

გქ აწყვეტინებთ მას და პირდაპირ ეკითხებით, მიანც რისი თქმა უნდა მას.

**3. კინოთეატრში როდესაც მიხვედით, აღმოაჩინეთ, რომ თქვენთვის საინტერესო კინოფილმის უახლოესი სეანსი მხოლოდ ხვალ არის. რას გააკეთებთ?**

აქ დიდხანს არ იფიქრებთ, წახვალთ სხვა ფილმზე.

ბქ კინოთეატრში წახვალთ ხვალ.

გქ გადაწყვეტთ, როგორ მოიქცეთ, განწყობილების შესაბამისად.

**4. ტრანსპორტში შემთხვევით დაგადგეს ფეხი, როგორ მოიქცევით?**

აქ ყურადღებას არ მიაქცევთ — თქვენც რამდენჯერ დაგიდგამთ ფეხი სხვისთვის.

ბქ ამას არ მიაქცევთ ყურადღებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანმა ბოდიში მოგიხადათ.

გქ აუცილებლად გამოხატავთ თქვენს უკმაყოფილებას და მოითხოვთ მოგიხადონ ბოდიში.

**5. რეკავთ საინფორმაციო სამსახურში, სადაც გეუბნებიან „დაელოდეთ პასუხს“, თქვენი მოქმედება?**

აქ რჩებით ხაზზე, მაგრამ განწყობილება უკვე გაფუჭებული იქნება.

ბქ მერე რა მოხდა, ცოტას მოიცდით.

გქ ხელმეორედ დარეკავთ მოგვიანებით.

**6. საყვარელი ადამიანი ამ ბოლო დღეებში რაღაც უხასიათოდ გამოიყურება, მაგრამ არ ჩქარობს გაგიზიაროთ თავისი განცდები. თქვენი რეაქცია?**

აქ არ დაიწყებთ საუბრის მოთხოვნას, უბრალოდ აგრძნობინებთ, რომ ნებისმიერ დროს ხართ მზად მოუსმინოთ მას.

ბქ გუნება გაგიფუჭდებათ, გადაწყვეტთ, რომ მახლობელი ადამიანი არ გენდობათ.

გქ გუნების გაფუჭებისგან თავს შეიკავებთ, მაგრამ სულ ცუდი განწყობილების მიზეზზე იფიქრებთ.

**7. ამოირჩიეთ მტკიცება, რომელიც თქვენთვის ყველაზე მახლობელია:**

აქ „მოთმინება — ეს იმედის ხელოვნებაა“.

ბქ „მარტო იმედის ამარა შეიძლება შიმშილით მოკვდე“.

გქ „მოთომინება — შესანიშნავი თვისებაა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ის გულგრილს გვხდის“.

**8. ჩვეულებრივად როგორ რეაგირებთ რეკლამაზე სატელევიზიო პროგრამების დროს?**

აქ უბრალოდ არ უყურებთ მას, ამ წუთებში სხვა საქმით ერთობით.

ბქ უყურებთ, მასში ხომ ზოგჯერ სასარგებლო ინფორმაციაც არის.

გქ არხს ცვლით.

## ცხრილის დახმარებით დაიანგარიშეთ ქულები

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| a | 3 | 3 | 1 | 3 | 2 | 3 | 3 | 2 |
| б | 2 | 2 | 3 | 2 | 3 | 1 | 1 | 3 |
| в | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 |

**8-13 ქულა.** მოთმინების უნარი აუცილებელია ნებისმიერი მიზნის მისაღწევად. თქვენს შესახებ, როგორც ჩანს, არ შეიძლება ითქვას, რომ თავშეკავება — თქვენი ძლიერი მხარეა. თქვენ აუცილებლად უნდა გააძლიეროთ თქვენში ეს თვისება და ეცადოთ არ წარუდგინოთ გაზრდილი მოთხოვნები გარშემომყოფებს.

**14-19 ქულა.** თქვენ გაქვთ მოთმინების უნარი. ამასთან ერთად, ზოგჯერ შეგიძლიათ უარი თქვათ საკუთარ განზრახვაზე, დაუთმოთ ვითარებას. არ შეიძლება ითქვას, რომ თქვენ არ გაქვთ ფსიქოლოგიური სიმყარე, და მაინც შეძლებისდაგვარად ერიდეთ კრიტიკულ სიტუაციებს, ხოლო თუ მოხვდებით ამ სიტუაციაში, გადაწყვეტილების მიღების დროს ყოველთვის იხელმძღვანელებთ ძველი ჭკვიანი შეგონებით: „ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი“.

**20-24 ქულა.** ალბათ, თქვენ მომთმენი ხართ, და, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, შეგიძლიათ თქვენი მოთხოვნილებანი და ინტერესები შეუთანხმოთ სხვა ადამიანების ინტერესებს. არ არის გამორიცხული, რომ თქვენ ბუნებით მშვიდობისმყოფელი ბრძანდებით, ვინც გვერდს უვლის მწვავე მოვლენებს და, როგორც წესი, ემოციური რყევების გარეშე გამოდის დაძაბული სიტუაციებიდან.

აფხაზეთის ა/რ ფინანსთა სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება და სამძიმარს უცხადებს პროფესორ ბესარიონ ნაყოფიას და მისი ოჯახის წევრებს შვილის
მერი ნაყოფიას
გარდაცვალების გამო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## დაიჯესტი

### უცნობი ხელნაწერი



**შოტლანდიაში მიაგნეს ვალტერ სკოტის უცნობ პოემას. აღმოჩნდა, რომ ნაწარმოები „ქილეარნის ბორცვები“, 200 წელზე მეტხანს ბეილი-ჰემილტონების ოჯახის საიდუმლო კოლექციაში ინახებოდა ცენტრალურ შოტლანდიაში, ქალაქ კალანდერის შემოგარენში მდებარე სახლში.** ამ სახლს ვალტერ სკოტი ხშირად სტუმრობდა ახალგაზრდობაში. არქივის მეპატრონეებმა ასევე წარადგინეს დიდი შოტლანდიელი მწერლის ცხრა წერილი.

### ყველაზე უსაფრთხო

**ზესწრაფმა სარკინიგზო მატარებლებმა, რომლებსაც ევროპაში „მატარებელ-ტყვიებს“, იაპონიაში კი „შინვასენს“ უწოდებენ, ამომავალი მზის ქვეყანაში გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყეს რეგულარული მიმოსვლა.** სადღეისოდ ამ ტიპის შემადგენლობებმა მილიარდზე მეტი მგზავრი



გადაიყვანეს. ელმავლები საგანგებოდ დაგებულ ლიანდაგებზე უსწრაფესად მოძრაობენ – მსოფლიო რეკორდი, რომელიც იაპონიის ქალაქებს ჰიროსიმასა და კოკურას შორის მონაკვეთზე დაამყარეს, საათში 261,8 კილომეტრი შეადგინა. ამ ტიპის მატარებლები ასევე რეკორდსმენები არიან მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან „ნომინაციაში“ – შინვასენები ყველაზე უსაფრთხო სამგზავრო საშუალებებია, რამაც ისინი განსაკუთრებით პოპულარულები გახადა.

### „ჩანთოსანი“ პინჩერი



**ოთახის ძაღლები, როგორც წესი, გაპრანჭული ქალბატონების ხელჩანთებიდან იცქირებიან ხოლმე. მაგრამ ერთი წლის ლუ ლუ ყოველდღიურ მოციონს თავისით აკეთებს, თან წინა თათზე დათუნიას ფორმის ხავერდის მოდური ჩანთა აქვს გადაკიდებული.** იმის გამო, რომ წინა თათები დაკავებული აქვს, ცენტრალური ჩინეთის პროვინციის ხენანის ქალაქ ძუმადიანის სეირის მაყურებელთა გასახარად, ეს ჯუჯა პინჩერი... უკანა თათებით მისეირნობს.

– უკანა თათებზე სიარულის დროს წონასწორობის შენარჩუნება ლუ ლუმ სულ ორ თვეში ისწავლა, საამისოდ მისი დახმარებაც არ დამჭირვებია, – ამბობს პინჩერის პატრონი ჯოუ. – არადა, სხვა ჩანთა ლუ ლუს არ მოსწონს, დათუნია კი რბილია და ძაღლს მისი ტარება სიამოვნებს.

### „ჯადუს“ საწოლი

**მსოფლიში ყველაზე ძვირიანი საწოლი გერმანულმა ფირმა „ჯადუ სთილ სთაილმა“ წარადგინა. 24-კარატიან ოქროთი გაწყობილ საწოლში, რომლის ფასია ნახევარი მილიონი დოლარი, ჩამონტაჟებულია სხვადასხვა გასართობი მოწყობილობა, კერძოდ, სათამაშო კომპიუტერი, DVD-ფლეიერი, ასევე ჩასმულია ღვინის „მაცივარი მარანი“, აუდიო-სისტემა, პლაზმური ტელევიზორი, ინტერნეტ-სისტემა და სხვ.** ყველა გასართობი სისტემა შესაბამისი პანელით კონტროლდება. საწოლის ზომებია 3 X 3 მეტრი, თითოეული ეგზემპლარის დამზადებას სამი-ექვსი თვე სჭირდება, ხოლო მთლიანად სულ 100 ცალს გამოუშვებენ.



### პასუხად პარიზს

**ინდური წარმომავლობის მოქანდაკის ანიშა კაპურის მიერ შექმნილი 120 მეტრის სიმაღლის ლითონის კონსტრუქცია „ორბიტა“ ლონდონს 2012 წლის ოლიმპიადის გახსნისთვის დაამშვენებს.**

მასმედიაში უკვე პარიზის „ეიფელის კოშკის პასუხად“ მონათლულმა პროექტმა ინგლისის დედაქალაქის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა. „ორბიტა“ ქალაქ ნიუ-იორკის საქვეყნოდ ცნობილ თავისუფლების ქანდაკებაზე, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს დამოუკიდებლობის მოპოვების აღსანიშნავად ფრანგმა ხალხმა აჩუქა, გაცილებით მაღალია. ქანდაკებას სთრათფორდის პარკში აღმართავენ. კოშკიდან მთელი ლონდონის არაჩვეულებრივი ხედი გადაიშლება და, როგორც ვარაუდობენ, ტურისტებისთვის (და არა მარტო მათთვის) მეტად მიმზიდველი ადგილი გახდება. ლითონის კონსტრუქცია ინგლისის დედაქალაქის ხელისუფლებას 18 მილიონი ევრო (16 მილიონი გირვანქა სტერლინგი) დაუჯდება.

### გაზქურა კიდევ ორნახევარი საუკუნე შეგიძლიათ რომ არ გამორთოთ



**ბუნებრივი გაზის მსოფლიო მარაგი, მოხმარების ტემპების ზრდის გათვალისწინებით, კიდევ 250 წელზეა სამყოფი, რის შესახებ საერთაშორისო ენერგეტიკულმა სააგენტომ განაცხადა. სპეციალისტების განმარტებით, ბოლო გადათვლების შედეგების თანახმად, მისი მარაგი იმაზე ორჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ადრე ვარაუდობდნენ.**

სადღეისოდ მსოფლიოში ბუნებრივი გაზის მთლიანი დაზვერილი მარაგი 900 ტრილიონი კუბური მეტრია, რაც ამ სახეობის ენერგომატარებელზე წლიურ მოთხოვნას 300-ჯერ ჭარბობს, ბოლო წლებში ბუნებრივი გაზის მოპოვების მაჩვენებლის საგრძნობი ზრდა ამერიკის შეერთებულ შტატებს უკავშირდება, რომელიც უწინდელი უმსხვილესი იმპორტიორიდან ახლა გაზის უდიდეს მწარმოებლად გადაიქცა.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

**● როგორც ცნობილია, ძველ ბიზანტიაში კარგად განვითარებული იყო საგადასახადო სისტემა. სხვათა შორის, არსებობდა გადასახადი საცხოვრებელი შენობის მოცულობაზე და მას „ჰაერის გადასახადს“ უწოდებდნენ.**

**● ინგლისის მეფე ჰენრიხ III მასში ერთ ოქროს იძლეოდა, ედუარდ IV – 4-ს, სამეფო მასხარა ამისთვის ხშირად ვარდებოდა ცხენიდან და ედუარდ IV მას 5 ოქროსაც კი აძლევდა და ყველაფერი ეს კეთდებოდა მხოლოდ და მხოლოდ მეფის გასამხიარულებლად.**

**● სავსებით შესაძლებელია, რომ ბუტანის სამეფოს კალენდარში კვირაში 7 პარასკევი იყოს, რადგან თუ ასტროლოგები არასასურველ დღეს იწინასწარმეტყველებენ, კალენდრის დღეები მეფის საგანგებო ბრძანებულებით შეიძლება შეიცვალოს.**

**● იცით, რომ არსებობს ასო, რომელიც სიტყვის შუაში სხვანაირად იწერება, სიტყვის ბოლოს კი სხვანაირად და ასეთი ასო არაბულ ენას 28 აქვს, ებრაულს – 5, ბერძნულს – 1 და სხვა ევროპულ ენებს კი არც ერთი.**

**● დღისით თითქოს სძინავს, გარინდებულია, ღამის შესახვედრად ემზადება – სიცოცხლე დროის ამ მონაკვეთში იწყება. იმასაც ამბობენ, რომ აქ უფრო მეტი მომლოცველია, ვიდრე იერუსალიმში ანდა მექაში – ეს ადგილი ლას-ვეგასია.**

**● ბერძნები ისტორიკოსებს „დროის გადამცემებს“ უწოდებდნენ.**

**● „მიცუბიშის“ მოდელი „პაჯერო“ მთელ მსოფლიოში შესანიშნავად იყიდება – გარდა ესპანეთისა და ამის მიზეზია ის, რომ ესპანეთში „პაჯეროს“ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირებს უწოდებენ.**

**● ამერიკის შტატ ნებრასკაში სულ 25 დოლარად ყველა მსურველს შეუძლია გახდეს ადმირალი, რასაკვირველია, ფორმალურად, რადგან ნებრასკა აბსოლუტურად უწყლო შტატია.**

**● XX საუკუნის 30-იან წლებში ინგლისის ვეტერინართა ინსტრუმენტების ნაკრებში აუცილებლად შედიოდა გილიოტინა, რითაც ცხოველებს რქებს აჭრიდნენ.**

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6840 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3930 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7390 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9891 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5068 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1303 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1107 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0635 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5885 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +16 – +24 |
| ქუთაისი. | +17 – +29 |
| ბათუმი. | +18 – +24 |
| ზუგდიდი. | +18 – +29 |
| თელავი. | +16 – +23 |

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

პოლიციის უფროსის კაბინეტში დაკავებული შეჰყავთ და უფროსს პატაკს აბარებენ:

– უფროსო, აგერ ერთი დავაკავეთ და თქვენ დაჰკითხეთ, ჩვენ საორიგეოში დავბრუნდებით.

– რა დააშავა? – დაინტერესდა უფროსი.

– რა დააშავა და ზოოპარკში გალიაში შეძვრა და ვეფხვი გააუპატიურა.

– თქვენი დედა ვატირე. მაგან გალიაში ვეფხვი გააუპატიურა და აქ მარტო მე მტოვებთ?

* * *

სვანი საარჩევნო უბანში მივიდა, ახადა თავი საარჩევნო ყუთს და დაიწყო ყვირილი. უბნის უფროსი ეკითხება:

– რას შვრები?

– ხმას ვაძლევ! – უპასუხა სვანმა.



* * *

ლექტორი ეკითხება სტუდენტებს:

– აბა ვინ მიპასუხებს: ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანის რომელი ორგანო იზრდება 12-ჯერ?

– ჰი-ჰი, – გაისმა აქეთ-იქიდან.

– ეგ თქვენი ჰი-ჰი სულ 2-ჯერ იზრდება, ხოლო თვალის გუგა კი 12-ჯერ შეშინებისას.

* * *

კახელების მარადიული პრობლემა: – გშია, ხაშლამა გინდა, შეჭამ და მუშაობა არ გინდა.

* * *

ცოლი დასტირის მომაკვდავ ქმარს:

– ვერ გავძლებ უშენოდ, მეც მალე გამოგყვები.

– ნუ იჩქარებ, ცოტა ხანს მომასვენე, – შეევედრა მომაკვდავი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაშვილი 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24